მანანა ხომერიკი

სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ

იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოება

მანანა ხომერიკი

სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ

თბილისი
2018

UDC (უაკ) 929.73 (479. 222,1)
ხ-716

ეძღვნება ჩემი დიდი ბებიის, ანასტასია ბაგრატიონი-ერისთავის ხსოვნას

ნარკვევში გადმოცემულია იმერეთის ბაგრატიონთა ღვანკითში მცხოვრები შტოს ისტორია. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია, თუ როგორ არაობიექტურად აშუქებენ ამ ოჯახთან დაკავშირებულ ფაქტებს, მალავენ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებამ ტრაგიკული ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიაში. ვფიქრობთ, აჯანყების მონაწილე, ნატანჯი ოჯახის წევრების დაუნდობლად დამცირება არა მხოლოდ მათი ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა, არამედ გარკვეულ წილად, ჩვენი ისტორიისადმი უპატივცემულობის გამოვლენაა. ნარკვევში ასევე წამოწეულია ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მანიპულაციის საკითხი. ჩვენი მიზანია მკითხველისათვის რეალური ფაქტებისა და დოკუმენტების გაცნობა, რათა მან თავად შეძლოს სწორი დასკვნების გამოტანა.

© **მანანა ხომერიკი**, 2018
ისტ. მეცნ. დოქტორი;
„იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“
ნამდვილი წევრი;
ქიოსის (საბერძნეთი) საპატიო მოქალაქე;
ოინუსესის (საბერძნეთი) საპატიო მოქალაქე.

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018

გარეკანზე: როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონი (1845-1898)

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-25-445-1

წინათქმა

„ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოს ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილს ირაკლი ბაგრატიონის (იმერელის) დამცირება დაუსახავს მიზნად, რისთვისაც ფაქტების დამახინჯებას არ ერიდება. სანამ მის უსამართლო განცხადებებს განვიხილავდეთ, გვინდა ირაკლი ბაგრატიონის ოჯახის რეალური ისტორია გავაცნოთ მკითხველს, რათა მან შემდეგ თავად შეძლოს ტყუილისა და სიმართლის ერთმანეთისგან გარჩევა.

დასახელებული ოჯახის წინაპარი, სვიმონი, იმერეთის მეფე ალექსანდერე V-ის ვაჟის, მეფე სოლომონ I-ის ძმის და მეფე სოლომონ II-ის ბიძის, ბაგრატ ბატონიშვილის უკანონო ძე იყო. ცნობილია, რომ იმერეთის სამეფოში ოთხჯერ იყო შემთხვევა, როდესაც უკანონოდ შობილი ბატონიშვილები გამეფდნენ. 1605 წელს, იმერეთის სამეფო ტახტზე ავიდა გიორგი III – კონსტანტინე ბატონიშვილის უკანონო შვილი: „მოიყვანეს ძმა როსტომ მეფისა ნაშობი მხევლისაგან გიორგი, დასვეს მეფედ და აკურთხეს ქუთაისს“.[1] 1683 იმერეთის სამეფო ტახტზე ბაგრატ IV-ის უკანონო შვილი, ალექსანდრე IV ავიდა: „ესე ალექსანდრე იყო შობილი ლეჩხუმელისა კოჩილას ცოლისაგან, რომელსა ბაგრატ მეფე თანაეყოფოდა სიძვად“.[2] 1698 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე ადის ალექსანდრე IV-ის უფროსი უკანონო შვილი, სიმონ I, ხოლო 1703 წელს – უმცროსი უკანონო შვილი, გიორგი VI: „ხოლო ალექსანდრე მეფობდა იმერეთს, მაშინ განუტევა დიდებულის ქალი, ვითარცა ცოლად მყოფი, რომლისათანა ესხნეს ძენი სვიმონ და გიორგი უქორწინოდ.“[3] აღსანიშნავია, რომ მეფე გიორგი III იყო ბატონიშვილის უკანონო შვილი და არა მეფის, ისევე როგორც ირაკლი ბაგრატიონის წინაპარი სვიმონ ბაგრატიონი.

ცხადია, უკანონოდ შობილი ბატონიშვილების გამეფება იმიტომ მოხდა, რომ იმ კონკრეტულ დროს კანონიერად შობილი ბატონიშვილები არ არსებობდნენ, ხოლო, მეფის და ბატონიშვი-

ლების (კონსტანტინე ბატონიშვილის შემთხვევაში) უკანონოდ შობილ ძეებს კანონიერად შობილ ასულებზე წინ აყენებდნენ. ასეთი იყო რეალობა, დაუწერელი კანონი. ახლა უნდათ დაამტკიცონ, რომ უკანონო შვილების ტახტზე ასვლა ქართული დინასტიური სამართლით, ან ქართული ეკლესიის მხრიდან ამ პრეცედენტების გამართლებითა და მოწონებით არ ყოფილა განპირობებული. ჩვენ არ შევეკამათებით, მაგრამ განა ისტორიული რეალობის შეცვლა ვინმეს შეუძლია? განა, წმინდანი მეფეები სოლომონ I და სოლომონ II უკანონოდ შობილი მეფეების შთამომავლები არ იყვნენ? განა, ვინმეს ისინი ამის გამო დაუძრახავს? ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოლომონ I-ის შვილიშვილის, უკანონოდ შობილი გიორგი „ბუშის" შთამომავლებს რუსეთის იმპერატორებმა ჯერ ბაგრატიონ-იმერეტინსკების გვარი მიანიჭეს, ხოლო 1876 წელს უგანათლებულესი თავადის წოდება უბოძეს. მეფე დავით II-ის უკანონოდ შობილი ძის, როსტომ ბატონიშვილის ძე – ვახტანგ ბატონიშვილი კი იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყების მონაწილეების ნაწილმა „მეფედ დასვა". აჯანყების დამარცხების შემდეგ, ის ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც სულთანმა იმერეთის მეფედ აღიარა. გარდაიცვალა თურქეთში, 1850 წელს.[4] ასეთია მოკლედ, უკანონოდ შობილი იმერელი ბატონიშვილების ისტორია. და ამ ფონზე სრულიად გაუმართლებელია ირაკლი ბაგრატიონისა და მისი ოჯახის დამცირების დაუოკებელი სურვილი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ბაგრატიონი გიორგი IV ლაშას უკანონოდ შობილი შვილის, დავით VII ულუს შთამომავალია. როდესაც გიორგი ლაშა გარდაიცვალა „წაიყვანეს მაშინვე გელათს, დამარხეს საფლავსა მამისა მისისა და არა დარჩა ცოლს თანა გვირგვინისა შვილი".[5] ამ ფაქტის წამოწევა ირაკლი ბაგრატიონის დამცირებით გატაცებული პირების ინტერესებში არ შედის. 2001 წელს, „ბაგრატოვანთა სახლის" ალმანახში „ბაგრატოვანნი" დაიბეჭდა წერილი „ბაგრატოვანთა სახლის" შენიშვნები სტატიაზე „სრულიად საქართველოს" გამო", რომელშიც მიუხედავად იმისა, რომ წერილზე მხოლოდ ერთ-ერთ ბაგრატიონს მოაწერინეს ხელი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მთელი „ბაგრატოვანთა სახლის" (და ცხადია, მისი ისტორიკოსის) პოზიცია იყო გაცხადებული. ირაკლი დავითის

ძე ბაგრატიონის წინაპრების დამცირებამ ისინი ისე გაიტაცა, რომ აზნაურობაც ვერ გაიმეტეს მათთვის და რაც კიდევ უფრო უარესია, ქართველ მეფეთა და ყველა ბაგრატიონის საერთო წინაპარს – დავით VII ულუსაც გადაუსვეს ხაზი: „აზნაურის პრეტენდენტობის გასამართლებლად მოჰყავთ ალექსანდრე IV (იმერეთის) და დავით ულუ, ის კი ავიწყდებათ, რომ ალექსანდრე IV და დავით ულუ მეფის ქორწინების გარეშე შვილები იყვნენ და ამიტომ თავადის (და არა ბატონიშვილის) ტიტულს ატარებდნენ.“[6] დავიწყოთ იმით, რომ დავით ულუს დროს თავადის ტიტული ჯერ კიდევ არ არსებობდა. თანაც, ამგვარი მსჯელობით გამდის, თითქოსდა, საქართველოს მეფე დავით ულუ ბატონიშვილიც კი არ ყოფილა! ეს თუ მართალია, მაშინ მისი მომდევნო არც ერთი მეფე არ ყოფილა სამეფო ღირსების მატარებელი. ქართველებს სამეფო დინასტია არ გვყოლია! მადლობა ღმერთს, რომ ამ განცხადებას საერთო არაფერი აქვს სიმართლესთან!

I. ირაკლი ბაგრატიონის (იმერელის) ოჯახის ისტორია

ახლა კი უშუალოდ ირაკლი ბაგრატიონის ოჯახის ისტორიას გავეცნოთ. 1771 წელს, ბაგრატ ბატონიშვილი აზნაურებისათვის – სიმონ და ქაიხოსრო ყიფიანებისთვის მიცემულ სიგელში სვიმონს თავის შვილად მოიხსენიებს: „წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე ჩვენ ღვთის ცხებულმან მეფის ძემ ბატონიშვილმან ბაგრატ და ძემან ჩვენმან სვიმონ...“[1] ეს დოკუმენტი არის იურიდიული მტკიცებულება იმ ფაქტისა, რომ ბაგრატ ბატონიშვილი სვიმონს თავის ძედ სცნობდა. მომდევნო დოკუმენტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. 1778 წელს, მეფე სოლომონ I-მა თავის ძმას ბაგრატს, მის ძე სვიმონს და ბაგრატის მომავალ ძეებს ღვანკითი უბოძა.[2] უკანონოდ შობილ შვილს მამის ქონებაზე უფლებები არ ჰქონდა, მაგრამ **მეფის სახელობითი სიგელი სვიმონს ღვანკითის კანონიერ მეპატრონედ ხდიდა**. მომავალი ძე – დავითი, ბაგრატ ბატონიშვილს თავის კანონიერ მეუღლესთან მხოლოდ 1881 წელს შეეძინა, ანუ სიგელის დაწერის დროისთვის ის ჯერ დაბადებული არ ყოფილა.

სვიმონის ვაჟს – როსტომს, 1809 წლის 9 აგვისტოს ყიფიანებისთვის მიცემულ სიგელში, დავით ბატონიშვილი თავის ძმისშვილს უწოდებს: „იქმნა წერილისა ამის მოწმე ჩემი ძმისწული როსტომ“.[3] დოკუმენტი მეფე სოლომონ II-ის მიერ არის დამოწმებული, რაც **მეფის მიერ როსტომ სვიმონის ძის ბაგრატიონთა ოჯახის წევრად ცნობას ნიშნავს**. იგივე დავით ბატონიშვილის მიერ 1816 წელს გლეხი ბუსკივაძისათვის მიცემულ სიგელში ვკითხულობთ: „არის ამის გამრიგე და მოწამე **ბატონიშვილი სვიმონის ძე როსტომ**“.[4] დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ **სვიმონი ბატონიშვილად** იხსენიება. იგივე დასტურდება 1830 წლის მეტრიკული ჩანაწერით: სვიმონის შვილიშვილმა ანასტასიამ (ჩემმა დიდმა ბებიამ) ლევან ბეჟანის ძე ერისთავზე დაიწერა ჯვარი. საცოლის წარმომავლობა ამგვარად არის განმარტებული: „**ბატონიშვილი სვიმონის ძის როსტომის ასული ანასტასია**.“[5] დამოწმებული საარქივო დოკუმენტებიდან აშკარაა, რომ სვიმონი ბატონიშვილად იწოდებოდა, ისევე, რო-

გორც მისი კანონიერი ნახევარძმა – დავით ბატონიშვილი. სვიმონის გარდაცვალების შემდეგ, დავითმა გადაწყვიტა მისი ოჯახი თავის აზნაურად ჩაეწერა. ვახტაგ VI-ის სამართლის წიგნის 110-ე მუხლის თანახმად, უკანონოდ შობილს მამულში წილი არ ეკუთვნოდა: „ძმებმან ერთის ყმის ალაგს უნდა არჩინონ, და თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, იმათთან არაფერი წილი არა აქვს“,[6] მაგრამ სვიმონისა და მისი შვილის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო, ვინაიდან მეფე სოლომონ I-ის სიგელის ძალით, ისინი ღვანკითის სრულუფლებიანი მფლობელები იყვნენ. ამიტომ დავით ბატონიშვილმა გადაწყვიტა მალულად ჩაეწერა როსტომი თავის აზნაურად. ნიშანდობლივია, რომ შემდგომში, როდესაც როსტომი და მისი შთამომავლები თავადის წოდებისთვის იბრძოდნენ, ვერც დავითის შვილმა ივანემ და ვერც შვილიშვილმა ალექსანდრემ ვერ გაბედეს უკანონო დოკუმენტის წარდგენა. ეს მხოლოდ ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, მისი არასრულწლოვანი შვილის – დავითის მეურვემ, ნესტორ ხიდირბეგოვმა იკადრა 1898 წელს.[7] იქამდე კი, 1820 წლის 15 ივლისს სახაზინო უწყებისათვის გადაცემული დავით ბაგრატიონის მამულის ანაწერში, სათავადო აზნაურების სიაში მე-16 ნომრით არის შეყვანილი „აზნაური უკანონოდ შობილი როსტომ ბაგრატიონი“.[8] როგორც ჩანს, მაშინვე გაირკვა, რომ სინამდვილეში როსტომი დავითის აზნაური არ ყოფილა. ზემოხსენებულ ანაწერში აღნუსხული მთელი ქონება ხაზინას გადაეცა, ხოლო იმავე 1820 წელს შედგენილი სხვა დოკუმენტიდან ჩანს, რომ როსტომ ბაგრატიონის ყმა-მამული მის ოჯახს დარჩა. ცხადია, ის დავით ბატონიშვილს არ ეკუთვნოდა: „სახაზინო აზნაური როსტომ ბაგრატიონი იმყოფება ქუთაისში პატიმრობაში... როსტომი უნდა დაისაჯოს. მისი ვაჟი გაგზავნილ იქნეს სამხედრო სამსახურში, მამული დარჩეს ოჯახს.“[9] როსტომი თავადის ნაცვლად, აზნაურად ჩაუწერიათ, მაგრამ სახაზინო აზნაურად და არა – სათავადო. იმ ხოცვა-ჟლეტის დროს როსტომის ოჯახმა ვერ წარადგინა თავისი სამეფო წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთები, რომლებიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ და რომელთა რეალური არსებობა ეჭვმიუტანელია. რაც შეეხება როსტომის უკანონოდ შობილად გამოცხადებას, ეს არის აშკარა შეცდომა. ის თავისი

მამის, სვიმონის ნაცვლად არის უკანონოდ შობილად შერაცხილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად იქნებოდა მითითებული, რომ მამამისიც უკანონოდ შობილი იყო. გარდა ამისა, ქუთაისში შემდგომი ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა როსტომის წარმომავლობის დადგენა, მაგრამ ყოველთვის გარკვევით ითქმებოდა, რომ მამამისი – სვიმონ ბაგრატის ძე იყო უკანონოდ შობილი და არა თავად როსტომი. ახლა განვიხილოთ, თუ რას ეფუძნებოდა დავით ბატონიშვილის მიერ როსტომის ოჯახის მისაკუთრების მცდელობა. მან პირველ რიგში ის სიგელი მიისაკუთრა, რომლითაც მეფე სოლომონ I ბაგრატ ბატონიშვილს და მის ძეს სვიმონს სოფელ ღვანკითს უმტკიცებდა. დავითმა სვიმონის სახელი ამოშალა. შემდგომში, სვიმონის შვილიშვილმა სიმონ როსტომის ძემ სამაზრო სამმართველოს ამ სიგელის შესწავლა სთხოვა. კომისიის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაკუმენტში დაწერილი ყოფილა სვიმონის სახელი, მაგრამ მათთვის ადვილი არ იყო იმის მტკიცება, რომ ბატონიშვილმა დავითმა დოკუმენტი გააყალბა. ჩვენ მიერ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკვლეული ერთი საბუთი კი ცხადყოფს, რომ დავით ბატონიშვილისთვის დოკუმენტების გაყალბება უცხო არ ყოფილა. მეფე სოლომონ II-ის გარდაცვალების შემდეგ, მან მთელი იმერეთის მისაკუთრება და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ თავის წარმოჩენა განიზრახა, რისთვისაც აზნაურ ფარსადან წერეთელს შესაბამისი ყალბი დოკუმენტების შედგენა დაავალა. ფარსადანმა დახელოვნებული გამყალბებლები ჩართო საქმეში. სწორედ ისინი მოახსენებენ დავით ბატონიშვილს: „რაც თქვენი შესამატი იქნება იმას უნდა ვეცადნეთ“. მისი განდიდების მიზნით, ყოველივე ისე შეუსრულებიათ, როგორც მას ფარსადან წერეთლისთვის ჰქონდა ნაბრძანები. „სარუსეთო წიგნებში“ მეფე რომ საქმეებს აცხადებს, თქვენი სახელი ისე დავწერეთო. სოლომონ მეფის სახელით დაუწერიათ: „შემდგომად ჩემსა სამეფოჲსა სახლისა და გვარისა ჩემისა შვილი და მემკვიდრე დავით“. დავითის მაგივრად ამ სახით მოუწერიათ ხელი: „მე ყოვლისა საიმერეთოისა უფლისწული დავით“ და მისი ბეჭედიც დაურტყამთ. მთავარი კი ის არის, რომ ეს ყოველივე „მეფის ბეჭედთან“ დაუწერიათ. ცხადია, სოლომონ მეფის ბეჭდიანი რაღაც სიგელი ჰქონიათ ხელთ,



(ხელნაწერი დაცულია სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში).

რომელიც ახალი ტექსტის ჩასაწერად გამოიყენეს. რომელიღაც მეორე „წიგნზედაც“, ანუ სიგელზე ასე მიუწერიათ. დოკუმენტების გაყალბების პროცესს ფარსადან წერეთელი თავად დასწრებია. წერილის ავტორები დავით ბატონიშვილს აიმედებდნენ: არაფერზე იჯავროთ, ღმერთი ყოველივეს კეთილად წარმართავსო.[10] ზემოხსენებულ კომისიას ეს დოკუმენტი რომ ხელთ ჰქონოდა, ალბათ, უფრო გაბედულად დაასკვნიდა, რომ მეფე სოლომონ I-ის სიგელშიც სწორედ დავით ბატონიშვილის დავალებით მოხდა მისი უფროსი ნახევარძმის სახელის ამოშლა.

დავით ბატონიშვილი 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების დროს მოკლეს. მისი ოჯახის წევრებიდან მხოლოდ მისი ერთი შვილი, ივანე, გადაურჩა გადასახლებას, ვინაიდან ის ოჯახის მოურავმა მერაბ ყიფიანმა გოდორში ჩასვა და ოსმალეთში გადაიყვანა.[11] 1820 წლის 7 სექტემბერს გორჩაკოვმა ერმოლოვთან გაგზავნილ პატაკს დაურთო ნუსხა, რომელშიც აჯანყების დროს მოკლული დავით ბატონიშვილის შვილების ჩამონათვალში ივანე გამორჩენილია,[12] რის გამოც ის რეპრესიებს გადაურჩა, თავადობაც შეინარჩუნა და შემდგომში თავისი მდგომარეობა როსტომის წინააღმდეგ გამოიყენა. აჯანყებაში კი როსტომი ბიძასთან – დავით ბაგრატიონთან ერთად იბრძოდა. ის შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს. ასევე გადაასახლეს მისი 8 წლის ვაჟი, სიმონი. როსტომი სუმის ჰუსართა პოლკში ჩარიცხეს რიგითად, ყოველგვარი წოდების გარეშე. სიმონი კი სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხეს.[13] ასევე გადაასახლეს დავითის ვაჟი თეიმურაზი, რომელსაც რუსეთში მხოლოდ სახელით და მამის სახელით მოიხენიებდნენ, მასაც ჩამორთმეული ჰქონდა წოდება.[14] 9 წლის შემდეგ, როსტომ ბაგრატიონი დარდისგან დაავადმყოფდა. ის განთავისუფლებული იქნა სამსახურიდან, მაგრამ საქართველოში დაბრუნება აეკრძალა. 1829 წლის 2 ოქტომბერს სუმის ჰუსართა პოლკის მეთაურმა გასცა ყოვლად უწიგნურად შედგენილი ცნობა: „ამის წარმდგენელი, სუმის ჰუსართა პოლკში რიგითად მოსამსახურე როსტომ ბაგრატიონი, როგორც ფორმულარულ სიაშია აღნიშნული, 39 წლის, იმერეთის სამთავროს მკვიდრი, თავადი სიმონ ბაგრატიონის უკანონოდ შობილი შვილი...“[15] როგორც ვხედავთ, აქ სიმონის ნაცვლად, როსტომია

გამოცხადებული უკანონოდ შობილად. ორივე რომ უკანონოდ შობილი ყოფილიყო, რუსეთის მთავრობა ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა და აუცილებლად აღნიშნავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთზე უთითებენ და ეს ერთი როსტომია! გარდაცვლილ სვიმონს ძველი რიცხვით ხომ ვერ დაამცრობდნენ, ამიტომ როსტომი მის უკანონო შვილად გამოაცხადეს, თუმცა ამის ერთგვარი საფუძველი არსებობდა: ნუსხა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, სადაც როსტომი შეცდომით უკანონო შვილად იყო გამოცხადებული. პოლკის მეთაურის ცნობაში უფრო დიდი და მიუტევებელი შეცდომაც არის დაშვებული: იმერეთი, დამცირების მიზნით, გამოცხდებულია არა სამეფოდ, არამედ „იმერეთის სამთავროდ“! ასევე, მცდარ ინფორმაციას ვხვდებით მთავარი შტაბის მორიგე გენერლის, პოტაპოვის 1831 წლის პატაკში, სადაც ნათქვამია, რომ როსტომი წარმოსდგება „იმერელი თავადი სიმონ ბაგრატიონის უკანონოდ შობილ შვილთაგან.“ და ეს მაშინ, როდესაც როსტომი სვიმონის ერთადერთი შვილი იყო. ამ უსამართლობას რუსეთში გადასახლებულმა სოლომონ მეფის ქვრივმა, მარიამ დედოფალმა მოულო ბოლო. მას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა როსტომის წარმომავლობა. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, როსტომი მარიამ დედოფალმა შეიკედლა, როგორც ქმრის ბიძაშვილის – სვიმონის შვილი. მარიამ დედოფალი რუსეთის ხელისუფალთ სთხოვდა, რომ როსტომისთვის იმერეთში დაბრუნების ნება მიეცათ, ასევე ადასტურებდა სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე სიმონ როსტომის ძე ბაგრატიონის თავადურ წარმომავლობას და იმ ფაქტს, რომ **როსტომი და სიმონი კანონიერი ქორწინების შედეგად იყვნენ დაბადებულნი,**[16] **ანუ მარიამ დედოფალი წინ აღუდგა როსტომის უკანონო შვილად გამოცხადებას**! იმ დროს დედოფალს არ შეეძლო მისთვის ბატონიშვილი ეწოდებინა, რადგან რუსეთი ქართ-კახეთისა და იმერეთის მეფეთა შთამომავლებიდან მხოლოდ პირველ თაობას, ანუ მეფის შვილებს აღიარებდა ბატონიშვილებად. მართალია, დედოფლის თხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაგრამ ის შედეგი გამოიღო, რომ როსტომისთვის აღარასოდეს უწოდებიათ უკანონოდ შობილი.

დედოფალმა ასევე იშუამდგომლა, რომ თეიმურაზ დავითის ძისათვის ეწოდებინათ თავადი ბაგრატიონი და არა თეიმურაზ დავიდოვი.[17] როგორც ვხედავთ, დედოფალმა მასაც ვერ უწოდა ბატონიშვილი. 1841 წელს მარიამ დედოფალი გარდაიცვალა. 1841 წლის 24 მარტს შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ: „როსტომ ბაგრატიონი, იმერელი ბატონიშვილი ბაგრატის უკანონოდ შობილი ვაჟის, სიმონ ბაგრატიონის შვილი, ფლობდა პატარა მამულს არგვეთის მაზრაში, იმერეთში...“[18] **რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და როსტომის წარმომავლობის საკითხში დაშვებული შეცდომა თავად გამოესწორებინა**. როსტომ ბაგრატიონს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს, ჩათვალეს, რომ იმერეთში მისი დაბრუნება რუსეთისთვის სახიფათო აღარ იქნებოდა „იმერელი ხალხის სრულიად რუსეთის ტახტისადმი ცნობილი ერთგულებისა გამო.“[19] როსტომი ღვანკითში დაბრუნდა. მოგვიანებით მას სიმონიც შეუერთდა. იწყება ბრძოლა თავადის წოდებისათვის. 1843 წელს, სიმონ როსტომის ძემ სამაზრო სამმართველოს სოლომონ I-ის სიგელის შესწავლა სთხოვა. მისი მტკიცებით „განზრახვითა ანუ კნიაზის ივანე ბაგრატიონისა ანუ მამისა მისის დავითისა წაშლილ არს სახელი ძისა ბატონიშვილის ბაგრატის“, რომელიც იყო სიმონ როსტომის ძის ბაბუა – სვიმონი.[20] კომისიამ აღიარა, რომ „ყურადღებით განხილვისამებრ ამა ღრამატისა აწცა უკვე შესაძლო არს განრჩევად, რომელ მასშინა შემდგომ ლექსთა (სიტყვების – მ. ხ.) შენ შვილ დაწერილი იყო სვიმონ“, რაც ნიშნავს, რომ სიგელში დაკონკრეტებული ყოფილა ბაგრატის ძის სახელი – სვიმონ. ასეც რომ არ ყოფილიყო, 1778 წელს ბაგრატს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა – სვიმონი. დავითი კი რამდენიმე წლის შემდეგ შეეძინა. კომისიის წევრებმა ვერ უარყვეს, რომ სახელი წაშლილი იყო, მაგრამ გადამწერს დააბრალეს: „არავითარი განზრახულობითი ამოფხეკილობა მას შინა არა არს. გარნა მხოლოდ წაშლილი არს თუ სადმე ასო საკუთრად შეცდომისაგან გადამწერლისა არა სრულებით გაცნობილის წერილობითის წარმოებასთან“.[21] თავადობისთვის ბრძოლაში მამა-შვილს ივანე ბაგრატიონი დაუპირისპირდა, რომელიც იმ დროისთვის თურქეთიდან დაბრუნებული იყო (1831 წელს დავით ბატონიშვილის მამული მის მემკვიდრეებს

დაუბრუნდათ) და თავადის წოდებაც შენარჩუნებული ჰქონდა. თავადის სიტყვას კი, ამა თუ იმ პირის წოდების დადგენის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ივანემ თავისი ძმა, თეიმურაზი თავადად სცნო, ხოლო ნატანჯი ნათესავების ცნობაზე უარი განაცხადა. მან იცოდა, რომ სოლომონ მეფის ზემოხსენებული სიგელის გამო, ქონებრივი დავის წამოწყება შეიძლებოდა, ამიტომ განაცხადა, რომ პოდპორუჩიკი სიმონი და მამამისი, გადამდგარი ჯარისკაცი როსტომ ბაგრატიონი იყვნენ შთამომავლები ბაგრატ ბატონიშვილის უკანონოდ შობილი ძის – სვიმონის, რომელიც „არ იწოდებოდა ძედ ანუ რომელიმე ნათესავად ბატონიშვილის ბაგრატის“.[22] (ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ როსტომს თვით მოსისხლე მტერმაც კი უკანონოდ შობილი ვერ უწოდა). ჩვენ უკვე გავეცანით სიგელების, რომლებშიც სვიმონს თავად ბაგრატ ბატონიშვილი თავის შვილად იხსენიებს, ხოლო ივანეს მამა, დავით ბატონიშვილი როსტომს თავის ძმისწულად და „ბატონიშვილი სვიმონის ძე როსტომად“ მოიხსენიებს. ანგარებამ კი ივანე ბაგრატიონს თავის სისხლისმიერ ნათესავებზე ათქმევინა, თითქოსდა, ისინი იყვნენ „გარეშე პირნი და არა მქონებელნი მასთანა არა ვითარ ნათასაობის კავშირისა.“[23]

1847 წელს, იმპერატორის ბრძანებით, იმერეთის და გურიის თავადაზნაურთა უფლებების დასადგენად ქუთაისში კომისია დაარსდა. თავადი ივანე ბაგრატიონი არაფერზე იხევდა უკან თავისი ნათესავების დასამცირებლად. ასე მაგალითად, მან წარადგინა გენეალოგიური ნუსხა, რომელშიც აღნიშნული იყო: სოლომონ I-ის ძე „ბატონიშვილი ალექსანდრე გარდაცვალებული უშვილოდ“,[24] იმ დროს, როდესაც სინამდვილეში, ალექანდრე ბატონიშვილის ვაჟის, „გიორგი ბუშის“ შვილები რუსეთში თავადი ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით აგრძელებდნენ სოლომონ I-ის შტოს. უკანონოდ შობილი „გიორგი ბუშის“ ხსენება ივანე ბაგრატიონისათვის ხელსაყრელი არ იყო, ვინაიდან მისი მაგალითი როსტომისა და სიმონის პოზიციებს გაამყარებდა. კომისიამ კი თვალი დახუჭა, ან უმეცრება გამოავლინა.

როსტომ ბაგრატიონის საქმეზე, რომელიც ადრე იყო დაწყებული, მაზრის უფროსის ერთ-ერთმა თანაშემწემ, მაქსიმოვიჩმა,

ქუთაისის არქივიდან ცნობები გამოითხოვა. 1831 წლის დოკუმენტში გარკვევით ეწერა: **„როსტომ ბაგრატიონი არის ძე უკანონოდ შობილის კნიაზის სვიმონ ბაგრატიონისა**.“[25] ყურადღება მივაქციოთ, რომ ამ ცნობის თანახმად, თავად როსტომი თავისი მამის კანონიერი შვილია. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა ბაგრატიონთა ორი ოჯახის წარმომადგენლებს შორის თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე გაგრძელდა, როსტომისთვის არავის, მტერსაც კი არ დაუბრალებია უკანონო შვილობა. ცხადია, როსტომი, როგორც თავადის კანონიერი შვილი, თავადად უნდა ეცნოთ და არა აზნაურად. გარდა ამისა, კომისიისთვის სახელმძღვანელოდ მიცემული ინსტრუქციის **43-ე პუნქტში** ნათქვამი იყო: **„კომისიამ არ უნდა იმსჯელოს იმ პირთა უფლებებზე, რომლებიც იმერეთში ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნიან, ხოლო გურიაში „გურიელების საგვარეულოს**“.[26] ისინი თავადებად უნდა ყოფილიყვნენ ცნობილი. ამდენად, კომისიას უფლება არ ჰქონდა ემსჯელა იმაზე, იყო თუ არა ბაგრატის კანონიერი შვილი სვიმონი (რომელსაც თავად ბაგრატი შვილად სცნობდა). ინსტრუქციაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ ბაგრატიონის გვარის წარმომადგენლები მეფეთა შთამომავლები იყვნენ, ამიტომ მათი თავადური ღირსება განხილვის გარეშე უნდა ყოფილიყო აღიარებული. მიუხედავად ამისა, კომისია ივანე ბაგრატიონის გავლენის ქვეშ მოექცა და სვიმონის შთამომავლები თვითნებურად, ინსტრუქციის დარღვევით, აზნაურებად სცნო და არა თავადებად. ეს 1851 წელს პეტერბურგში გამოცემულ იმერეთის თავადაზნაურული ოჯახების ნუსხაში აისახა.[27] ამ გადაწყვეტილებას უკანონოდ დამცრობილი ოჯახი ვერასოდეს შეეგუა. 1853 წელს სიმონ როსტომის ძემ ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოში გაგზავნა თხოვნა, რომელშიც აცხადებდა, რომ მათი ოჯახის თავადური ღირსების დამადასტურებელი დოკუმენტები 1819-1820 წლების აჯანყების დროს ვერ გადარჩებოდა, თანაც კომისიის მუშაობის დროს ის იმერეთში არ იმყოფებოდა. ყოველივე ამან განაპირობა მათი ოჯახის აზნაურებად გამოცხადება. სიმონმა საკრებულოს წარუდგინა ის დოკუმენტები, რომლებიც კომისიის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა: ბაგრატ ბატონიშვილის 1771 წლის სიგელი და დავით ბატონიშვი-

ლის მიერ 1809 წელს დაწერილი წყალობის წიგნი, რომლებიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. გარდა ამისა, წარადგინა საგვარეულო ნუსხა და თავადებისა და აზნაურების მოწმობები, რომლებიც სიმონის ოჯახის თავადურ წარმომავლობას ადასტურებდა. 1853 წლის 31 იანვარს დაიწერა შემდეგი მოწმობა: „**მიეცა ესე ჩუენ ქვემორე ამისა ხელის მომწერელთ თავადთა და აზნაურთაგან შორაპნის უეზდის ჩხარის უჩასტკის სოფელსა ღვანკიტს მცხოვრებს თავადს სიმონ როსტომის ძეს ბაგრატიონს მას შინა რომელ ვითარ მამა ხსენებულს სიმონ ბაგრატიონისა როსტომ, აგრეთვე ბაბუა მისი სვიმონ ბაგრატიონი დროსა იმერეთის მეფეთა ირიცხებოდნენ სათავადთა შორის. სარგებლობდნენ ყოვლის სიმართლით შეერთებულთა ამა ხარისხისათანა. ეგრეთვე შემდგომ განხსნისა რუსეთის მმართებლობისა იგინი ითვლებოდნენ ამა წოდებაშიდ დასამტკიცებლად, რაისა ჩუენის საკუთარის ხელის ვაწერთ.“**[28] **მოწმობას ხელს აწერს თავადაზნაურობის 23 წარმომადგენელი**. მათ შორის სამი მღვდელი: „აზნაური მღვდელი დავით ოქრიტიშვილი, მღვდელი აზნაურთაგანი ბესარიონ იშხნელი, მღვდელი აზნაური იესე შოთაძე.“ **ხელმოწერები დამოწმებულია შორაპნის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის – თავადი წერეთელის მიერ**. იმავე 1853 წელს სიმონი გარდაიცვალა. წლების შემდეგ, მისმა ვაჟმა, 1845 წელს დაბადებულმა როსტომმა (უმცროსმა) საქმე განაახლა. 1897 წლის 18 მარტს კოლეგიის ასესორი როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონი თხოვნით მიმართავს ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს და თავისი მამის მიერ 1853 წელს წარდგენილ თხოვნას ახალ ფაქტებს უმატებს. აქედან ჩვენ შემდეგს გამოვყოფთ:

1. **ორმოცდაათი თავადის და აზნაურის ჩვენებებით**, რაც თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღოლის მიერ არის დამოწმებული, მტკიცდება, რომ როსტომ ბაგრატიონის (დაბ. 1845 წ.) წინაპრები ნამდვილად ეკუთვნოდნენ ბაგრატ ბატონიშვილის მოდგმას და **ყოველთვის სარგებლობდნენ თავადების უფლებებით ზუსტად ისევე, როგორც დავით ბაგრატიონი**. 2. **თორმეტმა თავადმა და აზნაურმა** ასევე დაადასტურა წინა პუნქტში აღნიშნული გარემოებები. მოგვაქვს ნიმუში ფიცისა, რომლითაც თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა დაიფიცეს: „**ფიცითი აღთქმა...** მე ნამდვილ უწყი,

რომ მაძიებელი თავადობის ღირსებისა და ეხლად დამტკიცებული უმაღლესად აზნაურობის ღირსებაშიდ სიმონ როსტომის ძე ბაგრატიონი წარმოებს ცარევიჩის ბაგრატ ბაგრატიონისაგან, **მარადის მეფეთა დროშიდ და შემდგომ გახსნისა რუსეთის მთავრობისა იმერეთშიდ ვითარცა მას თანასწორ მამა ბაბუასა მისას უსარგებლია თავადობის ღირსებით და არა ვითარი განსხვავება მასსა და მონათესავეთა მისთა კნიასთა ივანე და თეიმურაზ დავითის ძეთ ბაგრატიონთა თავადობის ღირსებაშიდ არა ყოფილა. სათავადო მამულსა ფლობდა ბოძებულთა მეფეებთაგან**, მის მიერ წარმოდგენილი საქმეშიდ პირნი საბუთისა ეკუთვნოდა მას და არავითარსა ეჭვსა არა ექვემდებარების...“ საქმეში ჩაკერებულია რამდენიმე „ფიცით აღთქმა.“ ერთზე 1881 წელს, ხელს აწერს თავადი ნიკო ივანეს ძე აბაშიძე, 75 წლის.[29] მეორეზე თავადი ალექსანდრე დიმიტრის ძე აბაშიძე, 50 წლის.[30] მესამე დოკუმენტი შედგენილია 1880 წელს. ხელს აწერენ აზნაურები საჩინო და დიმიტრი კურცხალიები, მელიტონ, დიმიტრი და ზურაბ წერეთლები.[31] მეოთხეს ხელს აწერს აზნაური საჩინო დავითის ძე კურცხალია, 70 წლის.[32] მეხუთეს ხელს აწერენ აზნაურები: დიმიტრი გრიგოლის ძე კურცხალია, 65 წლის, ილია ივანეს ძე წერეთელი, 52 წლის, სიმონ ბესარიონის ძე წერეთელი, 45 წლის, ზურაბ გიორგის ძე წერეთელი, 40 წლის, დიმიტრი კაციას ძე წერეთელი, 55 წლის, ბერი იასონის ძე წერეთელი, 32 წლის, სანდრო ილიას ძე წერეთელი, 30 წლის, კაცია ლუარსაბის ძე კურცხალია, 50 წლის.[33] ხუთივე დოკუმენტს ერთვის მინაწერი: „ჩვენების ჩამორთმევას ესწრებოდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი“. ყველა „ფიცით აღთქმას“ ჩვენამდე არ მოულწევია. როსტომი (უმცროსი) 1898 წლის თებერვალშიც მიმართავს ქუთაისის სათავააზნაურო დეპუტატთა საკრებულოს. ითხოვს, რომ აზიურ საქმეთა დეპარტამენტში გაგზავნილ იქნას თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონის მიერ გლეხი ყუბულაშვილისათვის მიცემული სიგელი, რომელშიც ის მოსაზღვრე ბატონს, როსტომ ბაგრატიონს, თავადს უწოდებს. როსტომმა წარადგინა ამონაწერი ნოტარიუს გაბაევის აქტების წიგნის მეოთხე ნაწილიდან (1876 წ.), სადაც იხსენიება „თავად როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონის“ ვენახი და „თავად როსტომ სიმონის ძე ბაგრა-

ტიონის“ სახნავი მიწა.[34] როგორც ვხედავთ, ივანე ბაგრატიონთან შედარებით, მისი ვაჟი – თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი ბევრად უფრო კეთილსინდისიერი ჩანს, მაგრამ თავის ოჯახში ინიციატივას ვერ იჩენდა და თავისი მოურავი ხიდირბეგიშვილების ძლიერ გავლენას განიცდიდა. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „კ-ზ ბაგრატიონი ბევრის თვალში მოსაწონ ყმაწვილად ითვლება, მაგრამ ამ ხიდირბეგიშვილების გამო ბევრი კაცი ემდურის. ორგზის მოინდომა უეზდის მარშლობა და საზოგადოებას თითქმის სურდა ამოერჩია, მაგრამ რადგან მარშალი ხიდირბეგიშილები იქნებოდნენ და არა ბაგრატიონი, ამისთვის ორჯერვე ააცილეს ამ საქმეს“.[35] ხიდირბეგიშვილებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მათ საბედისწერო როლი შეასრულეს როსტომის ცხოვრებაში. იქამდე კი, როდესაც ალექსანდრე ბაგრატიონის მეუღლეს, ნადიტორა წულუკიძეს თავის ბიძასთან, ღენტორ წულუკიძესთან დავა ჰქონდა, ძმები ხიდირბეგიშვილები სასტიკად გაუსწორდნენ მოხუცს. როგორც გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა, „მაშინ მიცვივდნენ და ოთხივე ძმებმა ერთბაშად დაურთეს ხანჯლები და რვა ალაგას დაჭრილი და კეტებით დამტვრეული წულუკიძე დასცეს ძირს.“[36] წულუკიძის მომხრეები მძიმედ დასჭრეს, ხოლო ერთი, ერგემლიძე, მოკლეს. ალექსანდრე ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, მისი მამულისა და ობოლი ვაჟის მეურვე ერთ-ერთი ძმის ვაჟი, ნესტორ ხიდირბეგოვი გახდა და მკვლელების ტრადიცია გააგრძელა. ის მოითხოვდა, რომ თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს აღარ განეხილა როსტომ ბაგრატიონის უფლებები თავადურ ღირსებაზე, ვინაიდან ეს საკითხი უკვე განხილული იყო 1847 წლის კომისიის მიერ. ხიდირბეგოვის ცინიზმს საზღვარი არ ჰქონდა. მან განაცხადა: „ჩემთვის სრულიად არასასურველია, რომ სრულიად კერძო პირი მიკუთვნებულ იქნას იმერეთის მეფეთა საგვარეულოს და სახლს, რომლის მეურვეც მე გახლავართ“.[37] სწორედ ხიდირბეგოვმა გამოაჩინა 1820 წლის 15 ივლისს სახაზინო უწყებისათვის გადაცემული დავით ბატონიშვილის მამულის ანაწერი, რომელშიც სათავადო აზნაურთა სიაში მე-16 ნომრით შეყვანილი იყო როსტომ ბაგრატიონი (უფროსი). როგორც დოკუმენტები მეტყველებენ, ეს გაუგებრობა თავის დროზე აღმოფხვრილი

იყო, როსტომი და მისი შთამომავლები არასდროს ითვლებოდნენ სათავადო აზნაურებად, ისინი ათეული წლების განმავლობაში იმისთვის იბრძოდნენ, რომ სახაზინო აზნაურის წოდება თავადის წოდებაზე შეეცვალათ. ამიტომ საკრებულომ ბოლოს დაადგინა: **„... როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონი ცნობილ იქნას თავადის ღირსებაში და ეს ოქმი საქმესთან და საგვარეულო ნუსხასთან ერთად წარედგინოს სამთავრობო სენატს განსჯისათვის“**.[38] თითქოს ასრულდა სამი თაობის ოცნება, მაგრამ საქმეს გაგრძელება არ ჰქონია. როდესაც ხიდირბეგოვს არგუმენტები აღარ ეყო, ის როსტომ ბაგრატიონს ფიზიკურად გაუსწორდა. როსტომი ქუთაისში მსახურობდა. ერთხელ, როდესაც ის ქუთაისიდან ღვანკითში ბრუნდებოდა, სამების ახალი ეკლესიის მიდამოებში მას სადამსჯელო ოპერაციებში გაწაფული ხიდირბეგოვები თავიანთ კაცებთან ერთად დახვდნენ. როსტომს მხოლოდ ორი მცველი მოაცილებდა – პორფირე გავაშელაშვილი და ალექსანდრე რობაქიძე. თავდამსხმელებმა მათ სასატიკად სცემეს, ხოლო ნაცემი როსტომ ბაგრატიონი საკირეში ჩააგდეს, იმ მიზნით, რომ იქ დამწვარიყო, თავად კი მიიმალნენ. კირქვის ზედა ფენა, რომელზეც როსტომი აღმოჩნდა, არც ისეთი გავარვარებული ყოფილა, როგორც მათ ეგონათ, თანაც პორფირემ და ალექსანდრემ სოფლიდან ხალხი მოიყვანეს და როსტომი საკირედან ამოიყვანეს. მას შემდეგ ის დაავადმყოფდა და 1898 წელს გარდაიცვალა.[39] როსტომის ვაჟი, გრიგოლი (დაბ. 1892 წელს) 1937 წელს ბაგრატიონობის გამო დახვრიტეს, მისი მეუღლე კი დააპატიმრეს. მათი შვილები, ირაკლი ბაგრატიონი და მისი ორი და – მერი და ციალა ბაგრატიონები ობლობასა და გაჭირვებაში გაიზარდნენ.

აქვე განვმარტავთ, რომ იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II უშვილო იყო. 1804 წელს რუსეთთან დადებულ ე. წ. „ელაზნაურის ხელშეკრულების“ მეორე პუნქტში ის, იმ შემთხვევაში, თუ თავად არ შეეძინებოდა ვაჟი, თავის მემკვიდრედ წინამორბედი მეფის, დავით II-ის ძეს, კონსტანტინე ბატონიშვილს აცხადებს.[40] დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ ბატონიშვილი ქალები ტახტის მემკვიდრეებად არ განიხილებოდნენ. სადღეისოდ, მეფე სოლომონ II-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული კონსტანტინე

ბატონიშვილის შთამომავლებიდან მხოლოდ ერთი ქალბატონი, თამარ იმერეტინსკია ცოცხალი, რომელიც ინგლისში ცხოვრობს. მისი შვილები, ცხადია, არც ბაგრატიონები არიან და არც ტახტის მემკვიდრეები. ისიც აღსანიშნავია, რომ არც ქ-ნი თამარის მამა, მიხეილ იმერეტინსკი (1900-1975) ყოფილა სამეფო ოჯახის მეთაური, ვინაიდან ორი უფროსი ძმა ჰყავდა. იმერეტინსკების შტოში ბოლო მამაკაცი და ოჯახის მეთაური – 1898 წელს დაბადებული კონსტანტინე გიორგის ძე 1978 წელს გარდაიცვალა. იმავე 1978 წლიდან იმერეთის სამეფო სახლის მეთაური გახდა ირაკლი გრიგოლის ძე ბაგრატიონი, რომელიც იმერეთის მეფეების ერთადერთი მემკვიდრე იყო მამრობითი ხაზით. მისი გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის სამეფო სახლის მეთაური, ირაკლი გრიგოლის ძე ბაგრატიონის ძის, დავით ბაგრატიონის თანხმობით, არის მისი შვილიშვილი, **ირაკლი დავითის ძე ბაგრატიონი**.

II. „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის მიერ ფაქტების დამახინჯების შესახებ

ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილი თავის ნაშრომში „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“ ირაკლი ბაგრატიონის უშუალო წინაპრის – როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონის შესახებ აცხადებს: „ყველაზე ადრინდელ საბუთს, რომელიც ასახელებს ამ ოჯახის ერთ-ერთ წინაპარს, წარმოადგენს 1820 წლის აღწერილობა“.[1] ჩვენ უკვე გავეცანით დოკუმენტებს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ეს მტკიცება შორს არის რეალობისგან. **ი. ბიჭიკაშვილმა დამალა, რომ 1820 წლამდე როსტომ ბაგრატიონი უკვე ორ დოკუმენტშია დასახელებული:** I. 1809 წლის 9 აგვისტოს ყიფიანებისთვის მიცემულ სიგელში, სადაც დავით ბატონიშვილი როსტომ სვიმონის ძეს თავის ძმისწულს უწოდებს. დოკუმენტი მეფე სოლომონ II-ის მიერ არის დამოწმებული.[2] II. 1816 წელის სიგელში, სადაც იგივე დავით ბატონიშვილი როსტომს იხსენიებს, როგორც „ბატონიშვილი სვიმონის ძე როსტომს“.[3] ისიც აღსანიშნავია, რომ იმერეთის ბაგრატიონთა აღნიშნული შტოს მამამთავარი არის სვიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონი და არა მისი ვაჟი – როსტომ ბაგრატიონი, მაგრამ ავტორი როსტომით იწყებს. **ი. ბიჭიკაშვილი სვიმონთან დაკავშირებული ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის არსებობასაც საგულდაგულოდ მალავს (ან უკეთეს შემთხვევაში არ იცნობს)**: I. მეფე ალექსანდრე V-ის ძის, ბაგრატ ბატონიშვილის მიერ 1771 წელს გაცემულ სიგელს, რომელშიც ის სვიმონს თავის შვილად მოიხსენიებს.[4] II. მეფე სოლომონ I-ის სიგელს, რომლითაც მან 1778 წელს თავის ძმას ბაგრატს, მის ძე სვიმონს და ბაგრატის მომავალ ძეებს სოფელი ღვანკითი უბოძა. მომავალი ძე – დავითი, ბაგრატ ბატონიშვილს თავის კანონიერ მეუღლესთან მხოლოდ 1781 წელს შეეძინა, რაც ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ №19 ტაბულაშიც არის დაფიქსირებული. სოლომონ მეფის სიგელი შემდგომში კომისიის მიერ იყო განხილული, ვინაიდან სვიმონის შვილიშვილმა განაცხადა, რომ დავითმა, ან მისმა შვილმა ივანემ სვიმონის სახელი ამოშალეს და რომ „აღნიშნული ღრამატა არს მათი საზოგადო და ეკუთვნის უმეტეს მას

(სიმონს – მ. ხ.) ვიდრეღა ივანე და თეიმურაზს, მისთვის რომელ მასშინა ინიშვნის ბაბუა მისი სვიმონ და არა მამა მათი დავით“.[5] კომისიის წევრებმაც აღიარეს, რომ სიგელში სვიმონის სახელი ყოფილა ჩაწერილი. ი. ბიჭიკაშვილი არ განმარტავს, რომ დავით ბატონიშვილი დოკუმენტების გაყალბებაში იყო დახელოვნებული. მართალია, ამას თავისი ხელით კი არ აკეთებდა, არამედ უშუალო შემსრულებლებს უბრძანებდა. მან ხომ არა მხოლოდ ამ სიგელის „შემატება“, არამედ მთელი იმერეთის მისაკუთრება და თავისი თავის ტახტის მემკვიდრედ წარმოჩენა სცადა.[6] **მთელი ეს უმნიშვნელოვანესი საარქივო მასალა ი. ბიჭიკაშვილმა უკვალოდ გააქრო. ამის შემდეგ, შეგვეძლო მისი წიგნი მეცნიერულ ნაშრომად არ ჩაგვეთვალა და მის განხილვაზე დროც არ დაგვეკარგა, მაგრამ გადავწყვიტეთ მკითხველისთვის ნათლად გვეჩვენებინა ავტორის „კვლევის“ მეთოდი**. ი. ბიჭიკაშვილის მიერ მოხმობილ 1820 წლის დოკუმენტში ნაჩვენებია ბატონიშვილი დავითის პირადი აზნაურებისა და გლეხების ჩამონათვალი, სადაც მე-16 ნომრად ჩაწერილია უკანონოდ შობილი აზნაური როსტომ ბაგრატიონი – „№16. Дворянин незаконнорожденный Ростом Багратион“. აღნიშნულია, რომ როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონი ირიცხებოდა საკუთარი ბიძის, დავით ბატონიშვილის პირად აზნაურად. ჩვენ იმავე 1820 წლის იმ დოკუმენტსაც გავეცანით, რომელშიც როსტომი სახაზინო აზნაურად ჩაუწერიათ, და არა საბატონო.[7] **ბიჭიკაშვილი ამ დოკუმენტს არ აჩენს**. არც იმას განმარტავს, რომ მის მიერ დამოწმებულ დოკუმენტში აღნუსხული მთელი ქონება ხაზინას გადაეცა, როსტომის მამული კი მის ოჯახს დარჩა, რადგან სინამდვილეში მისი საკუთარი იყო და დავითს არ ექვემდებარებოდა. როსტომი დავითის აზნაური არ ყოფილა. რაც შეეხება როსტომის უკანონოდ შობილად გამოცხადებას, ეს არის აშკარა შეცდომა. ის თავისი მამის, სვიმონის ნაცვლად არის უკანონოდ შობილად შერაცხილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვთქვით, აუცილებლად იქნებოდა მითითებული, რომ მამამისიც უკანონოდ შობილი იყო. ი. ბიჭიკაშვილი იმოწმებს 1829 წლის 2 ოქტომბრის საბუთს, სადაც განხილულია როსტომის თხოვნა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე: „Объявитель сего, служившим в Сумс-

ком Гусарском полку рядовым, Ростом Багратион, как по полковому формулярному списку значится уроженец Имеретинского Княжества, незаконнорожденный сын Князя Симона Багратиона.“[8] (ი. ბიჭიკაშვილი რუსული ციტატების თარგმნას ზედმეტად მიიჩნევს). თარგმანი: „ამის წარმდგენელი, სუმის ჰუსართა პოლკში რიგითად მოსამსახურე როსტომ ბაგრატიონი, როგორც ფორმულარულ სიაშია აღნიშნული, 39 წლის, იმერეთის სამთავროს მკვიდრი, თავადი სიმონ ბაგრატიონის უკანონო შვილი...“ აღნიშნული ინფორმაციის არასანდოობა იქიდანაც ჩანს, რომ იმერეთის სამეფო – იმერეთის სამთავროდ არის დაფიქსირებული, რასაც ი. ბიჭიკაშვილი არ აპროტესტებს. ის ასევე იმოწმებს მთავარი შტაბის მორიგე გენერლის, პოტაპოვის 1831 წლის პატაკს, სადაც გამეორებულია წინა დოკუმენტში მოყვანილია ინფორმაცია: „Из дела производившегося в Инспекторском Департаменте об увольнении от службы отца унтер-офицера Багратиона рядового Сумского Гусарского полка Ростома Багратиона видно, что он происходит из незаконнорожденных детей Имеретинского князя Симона Багратиона“.[9] თარგმანი: „უნტერ-ოფიცერ ბაგრატიონის მამის, სუმის ჰუსართა პოლკის რიგითის, როსტომ ბაგრატიონის სამსახურიდან დათხოვნის საინსპექტორო დეპარტამენტში წარმოებული საქმიდან ჩანს, რომ ის წარმოსდგება იმერელი თავადი სიმონ ბაგრატიონის უკანონოდ შობილ შვილთაგან.“ ამ ინფორმაციის არასანდოობაზე კი ის მეტყველებს, რომ თავადი სიმონის შვილები მრავლობით რიცხვში იხსენიებიან, მაშინ როდესაც როსტომი მისი ერთადერთი შვილი იყო, რაც ი. ბიჭიკაშვილის შედგენილი გენეალოგიური ტაბულებითაც დასტურდება. როგორც რუსი მოხელეების მიერ შედგენილი, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან ჩანს, სიმონ ბაგრატის ძის თავადის ღირსებას რუსეთიც აღიარებდა. 1819-1820 წლების აჯანყების დროს ის ცოცხალი აღარ იყო და შესაბამისად, მონაწილეობაც არ მიუღია. თუ მამა თავადი იყო, მისი კანონიერი შვილი, როსტომიც, თავადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აჯანყების მონაწილე როსტომისთვის რუს მოხელეებს თავადობა არ ემეტებოდათ. სვიმონს უკანა რიცხვით ვერ დაამცრობდნენ, ამიტომ როსტომი გამოაცხადეს თავადი სიმონ ბაგრატიონის უკანონო შვილად. მეფე სოლომონ

II-ის ქვრივმა, მარიამ დედოფალმა, რომელმაც რუსეთში გადასახლებული, დაავადმყოფებული როსტომი თავისთან შეიფარა, მისი შვილის წარმომავლობა გარკვევით განმარტა: „дед означенного унтер-офицера Семена Багратиона по имени Семен же был побочный сын Царевича Баграта, который был родной брат покойного Имеретинского царя Соломона I-го, отец же его Ростом Багратион, а равно и унтер-офицер Семен Багратион рождены от законных браков... пользовались также Княжеским достойнством“.[10] თარგმანი: „აღნიშნული უნტერ-ოფიცრის სიმონ ბაგრატიონის ბაბუა, სახელად სიმონი, იყო უკანონო ძე ბატონიშვილი ბაგრატის, რომელიც იყო იმერეთის გარდაცვლილი მეფე სოლომონ I-ის მკვიდრი ძმა, ხოლო მამამისი, როსტომ ბაგრატიონი, ასევე უნტერ-ოფიცერი სიმონ ბაგრატიონი დაბადებული არიან კანონიერი ქორწინებებიდან... ასევე სარგებლობდნენ თავადის ღირსებით.“ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსი მოხელეებისთვის საკმარისი აღმოჩნდა მარიამ დედოფლის მოწმობა, რის შემდეგაც მსგავსი მცდარი ინფორმაცია აღარ განმეორებულა. ი. ბიჭიკაშვილი ამ დოკუმენტს კი იმოწმებს, მაგრამ არ გამოაქვს სათანადო დასკვნები, ყურადღებას არ ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მარიამ დედოფლის მოწმობა გადამწყვეტი აღმოჩნდა. ჩვენ ასევე იმ ცნობასაც გავეცანით, რომელიც იმავე 1831 წელს, ქუთაისში ყოფილა შედგენილი. მასში გარკვევით სწერია, რომ როსტომ ბაგრატიონი იყო ძე უკანონოდ შობილი „კნიაზის სვიმონ ბაგრატიონისა“.[11] **ი. ბიჭიკაშვილი ამ ცნობას არ იმოწმებს**. მისი ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ სათანადოდ არ იცნობს საარქივო მასალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უნდა სცოდნოდა, რომ რუსი მოხელეები დაუდევრობას იჩენდნენ ხოლმე. სახელდობრ, თუ რომელიმე შტოში ერთი უკანონოდ შობილი იყო, მოხელეებს შეეძლოთ ამ შტოს ნებისმიერი წარმომადგენელი გამოეცხადებინათ უკანონოდ შობილად. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მეფე დავით II-ის უკანონო შვილს, როსტომ ბატონიშვილს კანონიერი შვილები ჰყავდა – ვახტანგ და როსტომ ბატონიშვილები, მათაც უკანონოდ შობილებს ეძახდნენ ხოლმე. ზოგჯერ, მათ კანონიერ მამას საერთოდ არ ახსენებდნენ: „მეფე

დავითის უკანონოდ შობილი შვილები, ვახტანგ ბაგრატოვი და მისი მცირეწლოვანი ძმა ტარიელი“.[12] ზოგჯერ, მამასაც და შვილსაც უკანონოდ შობილებად აცხადებდნენ: „ვახტანგი, რომელიც უფლისწულს უწოდებს თავს, არის უკანონო შვილი მეფის უკანონო შვილისა“.[13] ისტორიკოსის ვალია, მასალები შეისწავლოს, დოკუმენტები შეაჯეროს და ბუნდოვან საკითხებში სიცხადე შეიტანოს, რასაც ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი არ აკეთებს და მხოლოდ ისეთ დოკუმენტებს ეძებს, რაც მის მიერ სამტროდ ამოჩემებული შტოს დამცირებას უწყობს ხელს. უმნიშვნელოვანესი ფაქტია ის, რომ სვიმონის და როსტომის შტოს წარმომავლობის დადგენა მთელი XIX საუკუნის მანძილზე გაგრძელდა, მაგრამ არც ერთ ქართველს, არც მტერს და არც მოყვარეს, არ უთქვამს, რომ როსტომი უკანონოდ შობილი იყო. ისინი მხოლოდ სვიმონ ბაგრატის ძის უკანონოდ შობის ფაქტს აღნიშნავდნენ. ამ ოჯახის თვით დაუძინებელმა მტერმა, ივანე ბაგრატიონმა განაცხადა, რომ პოდპორუჩიკი სიმონი და მამამისი, გადამდგარი ჯარისკაცი როსტომ ბაგრატიონი იყვნენ ბაგრატ ბატონიშვილის უკანონოდ შობილი ძის – სიმონის შთამომავლები: „კნიაზ ივანე ბაგრატიონმან... განაცხადა რომელ პოდპორუჩიკი სიმონ და მამა მისი აწ ცოცხლებით მყოფნი გარდამდგარი სალდათი როსტომ ბაგრატიონი ჰსწარმოებენ უკანონოდ შობილის ძისა ბატონიშვილის ბაგრატის სიმონისა...“[14] ან კიდევ: „უკანონოდ შობილის წინაპრისა მათისა.“[15] როსტომი რომ თავადაც უკანონოდ შობილი ყოფილიყო, ცხადია, ივანე ბაგრატიონი ამას არ დამალავდა. **ი. ბიჭიკაშვილი ვალდებული იყო ამ დოკუმენტებზე გაემახვილებინა ყურადღება. მან ის ფაქტიც დაუმალა მკითხველს, რომ 1847 წელს შექმნილ თავადაზნაურთა წოდებების დამდგენელი კომისიისთვის სახელმძღვანელოდ მიცემული ინსტრუქციის 43-ე პუნქტში ნათქვამი იყო: კომისიამ არ უნდა იმსჯელოს იმ პირთა უფლებებზე, რომლებიც იმერეთში ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნიან, ხოლო გურიაში „გურიელების საგვარეულოს**“.[16] აქედან გამომდინარე, კომისია უკანონოდ მოიქცა, როდესაც სვიმონის შთამომავლები აზნაურებად სცნო და არა თავადებად. **ი. ბიჭიკაშვილმა არ ახსენა ის ფაქტი, რომ 1853 წლის 31 იანვარს იმერეთის თავადაზნაურთა 23 წარმომადგენელმა დაწერა**

მოწმობა, რომლითაც მათ ამ ოჯახის თავადური წარმომავლობა დაადასტურეს.[17] დოკუმენტში ნათქვამია, რომ იგივე დაადასტურა ორმოცდაათმა თავადმა და აზნაურმა, რომელთა ჩვენებები თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღოლის მიერ იყო დამოწმებული. **რატომ სდუმს ამის შესახებ ი. ბიჭიკაშვილი? თუ თავადაზნაურობის 50 წარმომადგენლის აზრს არაფრად აგდებს? ის ასევე მალავს, რომ 1880 წლის 6 მარტს თავადაზნაურობის 12 წარმომადგენელმა დეპუტატთა საკრებულოს წინამძღოლის თანდასწრებით, ფიცის ქვეშ დაადასტურა აღნიშნული ოჯახის წევრების თავადის ღირსება**.[18] ჩვენ ხომ გავეცანით „ფიცით აღთქმის“ ნიმუშს, სადაც დადასტურებულია, რომ აზნაურობის ღირსებაში დამტკიცებული და თავადობის ღირსების მაძიებელი სიმონ როსტომის ძე ბაგრატიონი „წარმოებს ცარევიჩის ბაგრატ ბაგრატიონისაგან“, რომ ბაგრატის ორი ვაჟის შთამომავლები ერთმანეთისგან თავადური ღირსებით არ განსხვავდებოდნენ.[19] **ი. ბიჭიკაშვილმა დამალა უმნიშვნელოვანესი ფაქტი**: ბოლოს საკრებულომ დაადგინა, რომ როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონი ცნობილი ყოფილიყო თავადის ღირსებაში და ეს ოქმი საქმესთან და საგვარეულო ნუსხასთან ერთად გაგზავნილი ყოფილიყო სამთავრობო სენატში განსჯისათვის.[20] საქმეს გაგრძელება არ ჰქონია, ზემოხსენებული როსტომის შვილიშვილის, როსტომ ბაგრატიონის გარდაცვალების გამო. **ი. ბიჭიკაშვილმა კი ბაგრატიონთა ამ შტოს დამცირების მიზნით, მთელი ეს საარქივო მასალა დამალა**. აქვე დავამატებთ, რომ ხსენებული როსტომ ბაგრატიონი, მას შემდეგ რაც ფიზიკურად გაუსწორდნენ, დაავადმყოფდა და 1898 წელს გარდაიცვალა, როგორც ეს ჩემს მონოგრაფიაში მაქვს აღნიშნული.[21] **ი. ბიჭიკაშვილისთვის კი როსტომ ბაგრატიონის (უმცროსის) გარდაცვალების თარიღიც უცნობია**. მიუხედავად ასეთი ზერე ცოდნისა, ის თავს უფლებას აძლევს ყოველმხრივ დაამციროს ბაგრატიონთა აღნიშნული ოჯახის წარმომადგენლები. მისი თქმით, როსტომი (უფროსი) აჯანყების რიგითი მონაწილე, ანუ უმნიშვნელო ფიგურა იყო, „ის აჯანყებაში იმყოფებოდა თავის ნათესავ-მემამულესთან, თავის ბატონთან – დავით ბატონიშვილთან, აჯანყების ერთ-ერთ ლიდერთან („находился при Имеретинском Царевиче Давиде“), რომელიც ამ

აჯანყების დროს მოკლულ იქნა, რასაც თავად როსტომიც ადასტურებს თავის განცხადებისას – „По возмущению сей страны в 1820 году он по несчастию вмешался в партию составленную дядей его по отцу Князем Давидом (მივაქციოთ ყურადღება, რომ რუსულ დოკუმენტში დავითიც თავადად არის დასახელებული და არა ბატონიშვილად, ისევე, როგორც მისი ნახევარძმა თავადი სვიმონი. – მ. ხ.). По убиении сего последнего он добровольно явился в г. Кутаис к Российскому Правительству с восмилетним сыном своим Семеном, надеясь получить чрез таковой его поступок прощение от Правительства.“[22] თარგმანი: „1820 წელს, ამ ქვეყნის აჯანყების დროს, ის საუბედუროდ ჩაერია მამის მხრიდან თავისი ბიძის, თავადი დავითის მიერ შედგენილ პარტიაში. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მოკლულ იქნა, ის გამოცხადდა ქ. ქუთაისში რუსეთის მთავრობასთან თავის რვა წლის ვაჟთან, სიმონთან ერთად, იმედოვნებდა რა, ამგვარი საქციელით მთავრობისგან პატიების მიღებას“. ი. ბიჭიკაშვილის გაუმართავი წინადადებიდან ისე გამოდის, თითქოსდა, ეს განცხადება როსტომ ბაგრატიონს ეკუთვნის, რომელიც თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს. ციტატა აღებულია დოკუმენტიდან „Дело По отношению Г. Военного Министра касательно возвращения Имеретинца Ростома Багратиона на родину.“[23] „საქმე ბ-ნი სამხედრო მინისტრის წარდგინებით, იმერელი როსტომ ბაგრატიონის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე“. ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ დამოწმებული დოკუმენტი იმეორებს მარიამ დედოფლის ვერსიას აჯანყებაში როსტომის პასიური როლის თაობაზე. მარიამ დედოფალი თავის თხოვნაში არბილებს როსტომის დანაშაულს და წერს, რომ ის შვილთან ერთად გამოცხადდა რუსეთის მთავრობასთან. დედოფალს სურდა რუსეთის მთავრობის გული მოელბო, რათა როსტომისთვის სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ. **არსებობს განსხვავებული ვერსიაც, რომელსაც ი. ბიჭიკაშვილი მალავს**. როსტომის შვილის, უნტერ-ოფიცერი სიმონის 1831 წლის ჩვენება გადმოცემულია დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ, რომ „იმერეთის აჯანყების შემდეგ, როსტომი წაყვანილ იქნა იმერეთიდან, მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ამის შემდეგ, სიმონი თავისი ბიძის, ხეიძის სახლში იმყო-

ფებოდა. რომელმაც ის ტფილისში გაგზავნა, საიდანაც კავკასიის კორპუსის ყოფილი გენერლის, ერმოლოვის ბრძანებით, გაგზავნილ იქნა ობოლთა სამხედრო განყოფილებაში, იქიდან კი ეგერთა 33-ე ეგერთა პოლკში."[24] სიმონის დედა ელისაბედი, გვარად მხეიძე იყო. მან ძმებთან გადამალა პატარა როსტომი, მაგრამ სწორედ ბიძამ მიიყვანა ის რუსებთან და არა მამამ. იმ ტერორის დროს, სხვა გამოსვალი მხეიძეებს არ ჰქონდათ. სიმონისთვის წლების შემდეგაც კი, მამის ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ისინი ცალ-ცალკე გადაასახლეს რუსეთში. ი. ბიჭიკაშვილი არ აანალიზებს დოკუმენტებს და ფაქტებს, რის გამოც ცალმხრივად წარმოაჩენს მოვლენებს. თუ ჩვენც არაობიექტურნი ვიქნებით, მაშინ უკრიტიკოდ უნდა მივიღოთ შემდეგი ინფორმაცია: „...ბაგრატის ძე დავით, რომელ იყო მშვიდი და არა მეძებელი მეფობისა და კმაყოფილი მამულით თავისით და ეპყრა კერძო რუსთა და ერთგულებდა, გარნა უქმ იქნა ერთგულება მისი, რომელიცა მოიკლა მათ მიერ შეჩენილისა ჭაჭაშვილის მოურავის მიერ, რომელიცა იყო საყვარელი ყმა მისი".[25] მე ჩემს ნაშრომში განვმარტე: „ამ ამონარიდის მიხედვით, დავით ბატონიშვილი რუსეთის ერთგული ჩანს, რეალური ფაქტები კი საწინააღმდეგოზე მეტყველებენ".[26] ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი კი სამტროდ ამოჩემებული ოჯახის წევრებზე მხოლოდ მათი პატივისა და ღირსების შემლახავ დასკვნებს სთავაზობს მკითხველს. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთისთვის როსტომ ბაგრატიონი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რისთვისაც იმოწმებს თბილისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ ბროიკოს მიერ რუსეთის იმპერიის სამხედო მინისტრისათვის, გაგზავნილ პატაკს, სადაც წერია: „имею честь почтеннейше донести, что к возвращению имеретинца Ростома Багратиона на родину, я с своей стороны, согласно с местным (ასეა ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომში. ალბათ, мнением უნდა იყოს. მ. ხ.) Грузино-Имеретинского Гражданского Губернатора, которого о сем запрашивал, непредвижу никаких препятствий, и не имею ни малейшего повода к сомнению, чтобы возвращение его Багратиона в Имеретию могло иметь какое-либо влияние на Имеретинский народ".[27] თარგმანი: „მაქვს პატივი უპატივცემულესად მოგახსენოთ, რომ იმერელი როსტომ ბაგრატიონის სამშობლოში დაბრუნების

თაობაზე, მე ჩემი მხრიდან, თანახმად საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის აზრისა, რომელსაც ამ საკითხზე შევეკითხე, არ განვჭვრეტ არავითარ დაბრკოლებას და არ მაქვს მცირედი საბაბიც კი ეჭვისთვის, რომ მისი, ბაგრატიონის, იმერეთში დაბრუნებას შეუძლია რაიმე ზეგავლენა იქონიოს იმერელ ხალხზე". განვმარტავ: ბროიკო თავის პატაკში ეყრდნობა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის 1841 წლის 2 მაისის პატაკს, რომელიც ი. ბიჭიკაშვილს არ მოჰყავს, ვინაიდან იმ დოკუმენტში გარკვევით არის დასახელებული მიზეზი, რის გამოც როსტომ ბაგრატიონის იმერეთში დაბრუნება რუსეთის მთავრობისათვის საშიში აღარ იყო, სახელდობრ: „იმერელი ხალხის სრულიად რუსეთის ტახტისადმი ცნობილი ერთგულებისა გამო". გუბერნატორი თვლიდა, რომ იმ დროისთვის იმერლები უკვე რუსეთის ერთგულნი იყვნენ: „Я не предвижу никаких препятствии, не имея ни малейшего повода думать, что бы возвращение его в Имеретию могло иметь какое-либо вредное для Правительства последствие, **по известной преданности Имеретинского народа ко Всероссийскому престолу**".[28] თარგმანი: „მე არ განვჭვრეტ არავითარ დაბრკოლებას, არა მაქვს რა მცირეოდენი საბაბიც კი ვიფიქრო, რომ მის (როსტომის – მ. ხ.) იმერეთში დაბრუნებას შეეძლოს მთავრობისათვის რაიმე მავნე შედეგის ქონა, **იმერელი ხალხის სრულიად რუსეთის ტახტისადმი ცნობილი ერთგულებისა გამო**". რუსეთის მთავრობამ მხოლოდ 1840-იან წლებში ჩათვალა შესაძლებლად როსტომის იმერეთში დაბრუნება, რაც მას 21 წლის მანძილზე აკრძალული ჰქონდა. დოკუმენტებიდან ჩანს, როსტომ ბაგრატიონი, ავადმყოფობის გამო, 1829 წლის 25 სექტემბერს იქნა განთავისუფლებული, „მაგრამ მას ეკრძალებოდა საქართველოში ცხოვრება".[29] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარიამ დედოფალი ითხოვდა, რომ როსტომისთვის სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ. გოლოვინმა თბილისში ჩასვლის შემდეგ, საგანგებოდ მოიძია როსტომის საქმე და დედოფალს საბოლოო უარი მისწერა: „მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, მე არ შემიძლია ვიშუამდგომლო თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე." ხელს აწერს გოლოვინი.[30] **ი. ბიჭიკაშვილი მალავს, რომ როსტომს აკრძალული ჰქონდა სამშობლოში დაბრუნე-**

ბა, ვინაიდან ის, როგორც ბაგრატიონი, რუსეთის მთავრობისთვის გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენდა. როსტომი სრულებით არ ყოფილა ისეთი უმნიშვნელო პიროვნება, როგორადაც მას ი. ბიჭიკაშვილი წარმოაჩენს.

ი. ბიჭიკაშვილი ნებისმიერი გზით ცდილობს ირაკლი ბაგრატიონის წინაპრის – 1819-1820 წლების აჯანყების მონაწილე და ამდენად, უკვე ისტორიული პიროვნების, როსტომ ბაგრატიონისა და მისი ვაჟის, სიმონის დამცირებას. ჯერ მოგვითხრობს, რომ ამ აჯანყების დროს დაიღუპა დავით ბატონიშვილი, რომლის უფროსი ვაჟი, 10 წლის ივანე „აჯანყებულებმა“ გადამალეს თურქეთში, ხოლო 4 წლის თეიმურაზი რუსეთის ხელისუფლებამ გადაასახლა რუსეთში, სადაც მას ჩამოართვეს ბაგრატიონის გვარის და წოდების ტარების უფლება. ამის შემდეგ სვამს კითხვას: „თუკი როსტომ ბაგრატიონის ოჯახი ქართველ აჯანყებულთათვის, რამენაირად მაინც მნიშვნელოვანი იყო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ, რატომ არ გადამალეს აჯანყებულებმა მისი მცირეწლოვანი შვილი სიმონიც?“[31] ივანე აჯანყებულებს არ გადაუმალავთ. მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ. ივანე ოჯახის ერთგულმა მოურავმა, მერაბ ყიფიანმა, თურქეთში გააპარა. ი. ბიჭიკაშვილის ლოგიკით გამოდის, რომ დავითის ოჯახიც არ იყო „რამენაირად მაინც მნიშვნელოვანი“, რადგან 4 წლის თეიმურაზი და სხვები არ გადამალეს! დავით ბაგრატიონს ივანესა და თეიმურაზის გარდა, სხვა შვილებიც ჰყავდა, რომლებსაც **ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი მსჯელობის დროს არ ახსენებს, თუმცა ტაბულაში დაფიქსრებულები ჰყავს**. ის არ ამბობს, რომ დავით ბაგრატიონის დედას და ორ შვილს – 2 წლის ნიკოლოზს და 14 წლის მზეხათუნას გადასახლების ადგილამდე არ მიუღწევიათ, თბილისშივე გარდაიცვალნენ. მათ ანჩისხატის ტაძარში აუგეს წესი: „ტფილისში ტუსაღად მყოფი დავით ბაგრატოვანის შვილი ნიკოლოზ მოკუდა და დაიმარხა. 2 (წლის), უძუძურობითა“, „ტფილისში ტუსაღად მყოფი დავით ბაგრატოანის დედა მარიამ მოკუდა და დაიმარხა, 80 წლის“, „ტფილისში ტუსაღად მყოფი დავით ბაგრატოვანის ქალი მზეხათუნ მოკუდა და დაიმარხა, 14 წლის“.[32] ხოლო დავითის მეუღლე, ქალიშვილი ეკატერინე, ქალიშვილი მაია – ლევან ერისთავის ქვრივი, თავისი

8 თვის შვილთან ერთად, ყიზლარში გადაასახლეს. განა, მართებული იქნებოდა ამ ადამიანების ხსოვნის შეურაცხყოფა იმის გამო, რომ ისინი აჯანყებულებმა არ გადამალეს? **ვფიქრობთ, ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის სიძულვილით გაჯერებული მსჯელობა მკვლევარისთვის ყოვლად დაუშვებელი, არამეცნიერული და არაეთიკურია**.

ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ი. ბიჭიკაშვილმა განზრახ დაუშვა კიდევ ერთი შეცდომა: იმერეთის მეფე გიორგი VI-ის მეუღლე და მეფე ალექსანდრე V-ის დედა, როდამ დედოფალი, ქართლის მეფის – გიორგი XI-ის ასული იყო. ამდენად, მისი მხრიდან, ირაკლი დავითის ძე ბაგრატიონი ქართლის მეფეებსაც ენათესავება. ამ ფაქტის მიჩქმალვის მიზნით, ი. ბიჭიკაშვილი 235-ე ილუსტრაციაზე უთითებს: „მეფე გიორგი VI (1703-1720), (ტაბ. 18, №48/41), დედოფალი ხორეშანი (ტაბ. 23, N18/4), და მათი ვაჟი ალექანდრე V (1720-1752), (ტაბ. 18, №51/48), (გელათის მონასტრის ფრესკა)“.[33] ანუ **როდამ დედოფლის ნაცვლად, ი. ბიჭიკაშვილი ვინმე ხორეშან დედოფალს ასახელებს**. მართალია, თუ მკითხველი დაეჭვდება (რაც ნაკლებად სავარაუდოა), იშრომებს და ილუსტრაციის წარწერებს ტაბულას შეადარებს, დაინახავს, რომ ტაბულაში როდამ დედოფალი ფიგურირებს, მაგრამ გაუჭირდება იმის დადგენა, თუ რომელი ინფორმაციაა უფრო სანდო.

ი. ბიჭიკაშვილი არა მხოლოდ იგნორირებს ჩემს ნაშრომებში მოცემულ კვლევის შედეგებს, არამედ გენეალოგიური ტაბულების კომენტარებში, როსტომ და სიმონ ბაგრატიონებზე შედგენილ ბიბლიოგრაფიებშიც კი არ ახსენებს ჩემს მონოგრაფიას „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“ და ბროშურას „იმერეთის დე იურე მეფე ვახტანგ ბაგრატიონი“ (2012). თუ მე ამ პიროვნებების შესახებ არაფერი დამიწერია, ან დამიწერია, მაგრამ ი. ბიჭიკაშვილს ჩემი ნაშრომები არ უნახავს, მაშინ როგორ ხდება, რომ სწორედ იმ დოკუმენტის დამახინჯებაში მადანაშაულებს, რომელიც როსტომ და სიმონ ბაგრატიონებს შეეხება?[34] სახელდობრ, როსტომთან დაკავშირებით მიმითითებს, რომ სიტყვა УРОЖЕНЕЦ უნდა მეთარგმნა, როგორც „მცხოვრები“. მას რომ რუსულ-ქართულ ლექსიკონში ჩაეხედა, ადვილად დარწმუნდებოდა, რომ თავად ცდებოდა, მაგრამ სხვა ვერაფერზე შემედავა. იმერეთის

ბაგრატიონების მიმართ ი. ბიჭიკაშვილის უპატივცემულო დამოკიდებულების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მათ შესახებ მისთვის ცნობილი ინფორმაცია არ შეავსო ახალი მონაცემებით, რაც ჩემს ნაშრომებში მაქვს დაფიქსირებული. აი, რამდენიმე მაგალითი:

ი. ბიჭიკაშვილი: „124/13. მარიამ (მაია) დავითის ასული (1812-1839 შემდეგ). იოანე ანტონის ძე ერისთავი (რაჭის) (1812-1858)“. ***სინამდვილეში:*** ი. ბიჭიკაშვილმა უკვალოდ გააქრო მაია ბაგრატიონის პირველი ქმარი, ლევან გიორგის ძე დადიანი, რომელიც იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებაში დაიღუპა. მისი არსებობა მკვლევართათვის უცნობი იყო, ვიდრე მე არ მოვიძიე უტყუარი მასალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „39/19. ვახტანგ როსტომის ძე (? -1845 შემდეგ)“. ***სინამდვილეში:*** ვახტანგი 1850 წელს, ტრაპიზონის ახლოს მდებარე ქ. პლატანაში გარდაიცვალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „36/19. ტარიელ (ჰაიდარ-ბეგ) როსტომის ძე (?-1843)“. ***სინამდვილეში:*** ტარიელი 1840 წელს, თურქეთში გარდაიცვალა. ჰქონდა სერასკირის ანუ გენერლის ჩინი. ჰაიდარ-ბეგის სახელი არ დასტურდება.

ი. ბიჭიკაშვილი: „3/2. სიმონ როსტომის ძე (1812-?)“. ***სინამდვილეში:*** სიმონი 1853 წელს გარდაიცვალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „9/3. როსტომ სიმონის ძე (21. 02. 1845-?)“. **სინამდვილეში:** როსტომი 1898 წლის 25 სექტემბერს გარდაიცვალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „14/9. პეპო როსტომის ასული“. ***სინამდვილეში***: პელაგია 1878 წელს დაიბადა.

ი. ბიჭიკაშვილი: „17/9. გრიგოლ როსტომის ძე (1885-1937).“ ***სინამდვილეში:*** გრიგოლი დაიბადა 1892 წელს.

ი. ბიჭიკაშვილი: „18/9. აგრაფენა როსტომის ასული (? 1990)“. ***სინამდვილეში:*** აგრაფენა (Агрипина) 1894 წელს დაიბადა.

ი. ბიჭიკაშვილი: „6/2. ეფროსინია (პახუა) როსტომის ასული (1818-?)“. „7/2. ანასტასია როსტომის ასული (1820-?).“[35] ***სინამდვილეში:*** ი. ბიჭიკაშვილი ორად ხლეჩს და ორ დამოუკიდებელ პიროვნებად წარმოაჩენს ერთ პიროვნებას, რომელსაც ორი სახელი ერქვა. ამავე დროს, მის (თუ მათ) გარდაცვალების თარიღს კითხვის ნიშნით აღნიშნავს. ჩემს მონოგრაფიაში დაწვრილებით მაქვს განმარტებული,[36] რომ ჩემი დიდი ბებია ქორწინების ჩანა-

წერში ანასტასიად მოიხსენიება,[37] ხოლო გარდაცვალების ჩანაწერში – ეფროსინედ.[38] ამავე დროს, ჩემს კრებულში „წერილები“ (2006) ანასტასია ბაგრატიონის საფლავის ფოტოსურათიც კი მაქვს გამოქვეყნებული,[39] ვინაიდან ის ახალი ნაპოვნი იყო. 1920-იან წლებში, როდესაც სალომინაოს ღვთისმშობლის ეკლესია დინამიტით ააფეთქეს, ანასტასიას საფლავი დაიფარა და ათწლეულების განმავლობაში დაკარგული იყო.

საინტერესოა, რომ ი. ბიჭიკაშვილის მტკიცებით, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 1901 წელს გარდაიცვალა, თან უშვილოდ, მაგრამ ტაბულასა და კომენტერებში გარდაცვალების თარიღს კითხვის ნიშნით აღნიშნავს: „59/49. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (აგვისტო 1879-?). ჩანს 1901 წელს.“ ამ საკითხზე უფრო დეტალურად ქვემოთ შევჩერდებით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ი. ბიჭიკაშვილმა საჭიროდ არ ჩათვალა ტაბულაში მიეთითებინა ირაკლი დავითის ძის პაპის, ირაკლი გრიგოლის ძის გარდაცვალების წელი და მხოლოდ დაბადების წელი მიუთითა: „29/17. ირაკლი გრიგოლის ძე (დ. 6.04.1925).“[40] მან თავი არ შეიწუხა და 2016 წლის ბოლოს დასტამბულ წიგნში, 2013 წლის 20 იანვარს გარდაცვლილი პიროვნება, ფაქტობრივად, ცოცხლად გამოაცხადა.

ირაკლი ბაგრატიონის ოჯახის დამცირებით გატაცებულ ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილს არ უნდა იმის აღიარება, რომ იმერეთში უკანონოდ შობილი ბატონიშვილის შვილებიც ბატონიშვილების წოდებას ატარებდნენ. ამიტომ, ის განზრახ ამცირებს ვახტანგ და ტარიელ ბატონიშვილებს, რომლებიც მეფე დავით II-ის უკანონო ძის, როსტომ ბატონიშვილის შვილები იყვნენ. ვახტანგი 1819-1820 წლების აჯანყების მონაწილეთა ნაწილმა მეფედ გამოაცხადა. რუსეთის ერთგული როსტომ ერისთავი რაჭიდან ველიამინოვს ატყობინებდა: „იმერეთი აღირია ცუდ აზროვნად და დასვეს მეფედ ბატონისშვილი ვახტანგ და უპირებენ მათის უგუნურებით ქუთათის შემოდგომას...“[41] აჯანყების დამარცხების შემდეგ, ვახტანგი ძმასთან ერთად ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც სულთნის მიერ იმერეთის მეფედ იქნა დამტკიცებული. საისტორიო არქივში ინახება ვახტანგის წოდების დადგენის თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტი:

„ლიხთ იმერეთის მეფის ძის ძეს, და მემკვიდრეს, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პაკრატოვანს, და აწ დიდებულის და ცათა სწორის ხელმწიფისაგან მეფედ წოდებულს ვახტანგს“.[42] ხოლო თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალურ არქივში მოვიძიე დიდი ვეზირის წერილი, რომლითაც სულთანს აცნობებს: „მოცემული წერილი არის იმერეთის მეფის, მეფე ვახტანგისაგან, ასევე თავადების და აზნაურებისაგან...“[43] ი. ბიჭიკაშვილი ვახტანგთან დაკავშირებულ ამ ისტორიულ ფაქტებს მალავს და აცხადებს, რომ ტარიელი (და ვახტანგი? – მ. ხ.) არ სარგებლობდა ბატონიშვილის სტატუსით: „..ხოლო მეფის უკანონო შვილის შვილები კი, უკვე თავადის და არა ბატონიშვილის სტატუსში იმყოფებოდნენ, მაგალითად იმერეთის მეფე დავით II-ის (1784-1789) უკანონო შვილი როსტომი, ბატონიშ-ვილის სტატუსით სარგებლობდა, ხოლო მისი შვილი ტარიელი, თურქეთში ცხოვრებისას ატარებდა ჰაიდარ-ბეგის (ბეგი ნიშნავს თავადს) სტატუსს, რაც შემდგომ გაუგვარდათ კიდეც.“[44] ვახტანგ და ტარიელ ბატონიშვილებს ერთადერთი შთამომავალი დარჩათ – ვახტანგ ბატონიშვილის ასული ანასტასია, რომელიც შემდეგ ნიჟა-რაძეზე გათხოვდა. ტარიელის მეორე სახელი „ჰაიდარ-ბეგი“ დოკუ-მენტურად არ დასტურდება. მას შვილი არ დარჩენია. გაუგებარია, თუ ვის „გაუგვარდათ“ ჰაიდარ-ბეგების გვარი? საინტერესოა, რას ეყრდნობა ი. ბიჭიკაშვილის მსჯელობა თავადის სტატუსის შესახებ? როგორც ვხედავთ, ი. ბიჭიკაშვილი ისტორიულ პიროვნებას, ვახ-ტანგ ბაგრატიონს, საერთოდ არ ახსენებს. იყო, თუ არა ვახტანგი – ბატონიშვილი? ამ კითხვაზე პასუხი ადვილი გასაცემია: ჯერ კიდევ თურქეთში გადახვეწამდე, ვახტანგი სიგელებს ამოწმებდა ბეჭდით, რომელზედაც ამოტვიფრული იყო – ბატონიშვილი ვახტანგი.[45]

ვახტანგ ბატონიშვილის ბეჭედი. (სსიპ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-7335).

III. ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მანიპულაციის შესახებ

1995 წელს თბილისში დაფუძნებული „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამძღოლი ქ-ნი ნინო ბაგრატიონი წესდებას სწორედ ამ სახელით და გვარით აწერს ხელს.[1] აღნიშნულმა საზოგადოებამ შეიმუშავა „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი, რომელზეც ქ-ნმა ნინო ბაგრატიონმა სადღეისოდ არარსებული „ბაგრატიონ-იმერეტინსკის“ გვარით მოაწერა ხელი,[2] მაშინ, როდესაც ეს შტო XX ს-ის დასაწყისში შეწყდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქივის უფროსის ოფიციალური ცნობით დასტურდება, რომ ქ-ნი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი 1960 წლიდან 2009 წლის აპრილამდე ბაგრატიონის გვარით მუშაობდა მხაზველობითი გეომეტრიის კათედრაზე.[3] (ცხადია, ხელფასი გაიცემოდა ნინო ბაგრატიონზე და არა ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკიზე).

პირველად, 2004 წელს, იაკობ ახუაშვილმა თავის ნაშრომში განაცხადა, თითქოსდა, 1900 წელს ვარშავის გენერალ-გუბერნატორის, უგანათლებულესი თავადის, ალექსანდრე ბატონიშვილის (ალექსანდრეს უგანათლებულესი თავადის ტიტული ჰქონდა და არა ბატონიშვილის. – მ. ხ.) გარდაცვალების შემდეგ, „გვარში უფროსობა მეფე სოლომონ I-ის ძმის ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავალს „უგანათლებულეს“ თავად დავითს გადაეცა, რომლის ასული ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკი დღეს თბილისში ცხოვრობს...“[4] წყარო მითითებული არ არის, რადგან არ არსებობს. ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, ალექსანდრე იმერეტინსკი (1837-1900) იყო კონსტანტინე ბატონიშვილის უმცროსი, მესამე ვაჟი. ალექსანდრეს გარდაცვალების დროს, ანუ 1900 წელს, ცოცხლები იყვნენ მისი უფროსი ძმის, კონსტანტინე კონსტანტინეს ძის შთამომავლები: 1. შვილი – ვლადიმერი, რომელიც მოგვიანებით, 1902 წელს გარდაიცვალა. 2. კონსტანტინეს უფროსი შვილი, მიხეილი იმ დროს უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მას ჰყავდა შვილები: გიორგი (1872-1954), ალექსანდრე (1875-1906), ნინო (1870-1952) და თამარი (1873-1954). 3. გიორგი მიხეილის ძეს სამი ვაჟი ეზრდებოდა: გიორგი (1897-1972), კონსტანტინე (1898-1978) და მიხეილი (1900-1975).

საკითხავია, ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ, იმერეტინსკების ოჯახს, რომელსაც 1900 წელს საკმაოზე მეტი გვარის გამგრძელებელი ჰყავდა, ვინ ჩამოართმევდა გვარში პირველობას? მათი წინაპარი კონსტანტინე ბატონიშვილი (მეფე დავით II-ის შვილი) ხომ სოლომონ II-ის მიერ თავის მემკვიდრედ იყო აღიარებული, რაც თავის დროზე, რუსეთის მთავრობამაც დაადასტურა. როგორც ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის ნაშრომიდან ჩანს,[5] მან და ცხადია, მისი ოჯახის წევრებმა, თავადმა იმერეტინსკებმა, ბაგრატ ბატონიშვილის და მისი შთამომავლების არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. ვარშავის გენერალ-გუბერნატორის სიკვდილის შემდეგ, ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი კიდევ იმ მიზეზის გამო ვერ გადაეცემოდა იმერეთში მცხოვრებ დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს, რომ გარდაცლილი – იმერეტინსკის გვარს ატარებდა. ბაგრატიონ-იმერეტინსკები კი სოლომონ I-ის შვილიშვილის, გიორგი „ბუშის“ შთამომავლები იყვნენ. მათ თავისი გვარის გამგრძელებელი ვაჟი ჰყავდათ და 1837 წელს იმპერატორის მიერ მინიჭებული გვარი არავისთვის გადაუციათ. გვარების, თუ გვარში პირველობის გადაცემა ასე მარტივად არ ხდებოდა. ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამის, დავით ალექსანდრეს ძის გვარი ბაგრატიონი იყო და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი და ის იმერეთის ბაგრატიონებში უფროსი არ ყოფილა.

„ბაგრატოვანთა სახლმა“, ნაცვლად იმისა, რომ ი. ახუაშვილის მცდარი ვერსია გაესწორებინა, გაითავისა იგი და „მემორანდუმში“ შეიტანა, სადაც ვკითხულობთ: „ისტორიული და პოლიტიკური ტრადიციების მნიშვნელობის მომდევნო მეფური შტო არის – იმერეთის ბაგრატიონთა შტო. იმერეთის სამეფოს სათავე დასდო საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის ძმისშვილმა ბაგრატ -VI (II)-მ XV ს-ის შუა წლებში. მეფე ბაგრატ VI-ის (1466-1578) პირდაპირი შთამომავლები არიან – (იგულისხმება ერთზე მეტი პირი, აქ კი ერთი პირი სახელდება. – მ. ხ.) 1900 წელს ვარშავის გენერალ-გუბერნატორი (რა მოხდა 1900 წელს? – მ. ხ.), უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი (1837-1900), რომლის გარდაცვალების შემდეგ, გვარში უფროსობა გადაეცა მეფე სოლომონ I-ის (1752-1784) ძმის – ალექსანდრეს ძე ბაგრატ

ბატონიშვილის (1740-1800) შთამომავალს უგანათლებულეს თავად დავით ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1894-1937), რომლის ასული ბატონიშვილი და უგანათლებულესი თავადი, მისი აღმატებულება ნინო ბაგრატიონი (დ. 1915) თბილისში ცხოვრობს და „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამძღოლია“.[6] იმერეთის ბოლო მეფემ, სოლომონ II-მ, თავის მემკვიდრედ წინამორბედი მეფის, დავით II-ის (გიორგი VII-ის ძის) შვილი, კონსტანტინე ბატონიშვილი რომ გამოაცხადა, მემორანდუმში ნახსენები არ არის. სწორედ ამ კონსტანტინედან მოდიან იმერეტინსკები. „მემორანდუმში“ დაფიქსირდა უგანათლებულეს თავად დავითისათვის გვარში უფროსობის გადაცემის მცდარი ვერსია და თანაც, არა ბაგრატიონის, არამედ ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით, რაც უხეში შეცდომაა. ი. ბიჭიკაშვილი, როგორც დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი და ბაგრატიონთა შესახებ ნაშრომების ავტორი, წლების განმავლობაში ამზადებდა ნიადაგს იმისთვის, რომ შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება და ბოლოს – მემორანდუმზე ხელმომწერნი. ვიწყებთ თანმიმდევრულად:

1. 2003 წელს, კრებულში „ბაგრატიონები“ ი. ბიჭიკაშვილმა ოთხ ფოტოს, უგანათლებულეს თავად ბაგრატიონთა ოჯახის წევრთა ნამდვილი გვარის ნაცვლად, „ბაგრატიონ-იმერეტინსკი“ დააწერა: „210. იოანე ბაგრატის (დავითის ძე – მ. ხ.) ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, მეუღლესთან ელისაბედთან და შვილთან ალექსანდრესთან ერთად. 211. ალექსანდრე იოანეს ძე ბაგრატიონ-მერეტინსკი, ასულთან, თამართან ერთად. 212. დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მერეტინსკი, მეუღლესთან ქეთევან მაჩაბელთან ერთად. 213. „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამძღოლი ნინო დავითის ასული ბაგრატიონ-იმერეტინსკი (დ.1915), შვილიშვილებთან თორნიკესთან, სალომესთან და ქეთევანთან ერთად“.[7] როგორც ვთქვით, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრები ბაგრატიონები იყვნენ და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკები. ამგვარი წარწერებით, ი. ბიჭიკაშვილმა ხელოვნურად შექმნა გაუგებრობა. იმავე კრებულში შესულია ი. ბიჭიკაშვილის წერილი „უგანათლებულესი თავადების გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარების წარმოშობისათვის“, სადაც ვკითხულობთ, რომ „თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-იმერეტნსკის

„უგანათლებულესობის“ ტიტული მიენიჭა“.[8] დამოწმებულია წიგნი „Списки титулованным родам и лицам Российской Империи“,[9] სადაც, სინამდვილეში, თავადი ალექსანდრე – ბაგრატიონად მოიხსენიება. ისტორიული ფაქტებისადმი ასეთმა, რბილად რომ ვთქვათ, თავისუფალმა მიდგომამ, ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოების აღრევა და ისტორიის დამახინჯება გამოიწვია.

2. 2004 წელს, „ბაგრატოვანთა სახლის“ ალმანახში „ბაგრატოვანნი“ გამოქვეყნდა ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა „იმერეთის მეფეები, ბაგრატიონ-იმერეტინსკები და იმერეტინსკები“,[10] სადაც მეფე სოლომონ I-ის შთამომავლობა ნაჩვენები არ არის, ანუ ნამდვილი ბაგრატიონ-იმერეტინსკები შეყვანილი არ არიან. მათ წარმომადგენლებად ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავალი უგანათლებულესი თავადი ბაგრატიონები გვევლინებიან, მაშინ როდესაც მათი გვარი – ბაგრატიონი, ტაბულის დასახელებაში გამოტანილი არ არის. ტაბულა მთავრდება ქ-ნი ნინო ბაგრატიონის შვილიშვილებით, ანუ ბაგრატიონ-ჯაფარიძეებით. ამ შემთხვევაში დაშვებული უზუსტობის არსი რომ უფრო გასაგები გახდეს, შედარებისა და განმარტებისთვის მოგვყავს ამონარიდი იმავე ი. ბიჭიკაშვილის 2003 წლის სტატიიდან „უგანათლებულესი თავადების გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარების წარმოშობისათვის“, სადაც ის შინაარსობრივად სწორ, თუმცა სტილისტურად გაუმართავ ინფორმაციას იძლევა: „რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ 1804 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით და 1812 წლის 12 მარტის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ მხოლოდ საქართველოს (ქართლ-კახეთის) მეფეების შვილები – ბატონიშვილები ინარჩუნებენ ამ წოდებას (ბატონიშვილის წოდებას – მ. ხ.), მათი შთამომავლები ატარებენ „ქართველი თავადის“ (გრუზინსკების), ხოლო იმერეთის ბატონიშვილების შვილები – „იმერეთის თავადის“ (იმერეტინსკების) წოდებას (ეს მონაკვეთი სიტყვა სიტყვით გადატანილია „მემორანდუმში“ – მ. ხ.). რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ნებართვით, იმერეტინსკების პარალელურად იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შვილიშვილები – ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძეები – 1837 წლიდან იწოდებოდნენ თავად „ბაგრატიონ-იმერეტინსკებად“, ხოლო მეფე დავით II-ის შთამომავ-

ლები – თავად „იმერეტინსკებად“ (იმერეტინსკების პარალელურად იწოდებოდნენ იმერეტინსკებად? – მ. ხ.), რომელიც მათ გვარად იქცა. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმის ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილები ივანე და თეიმურაზ დავითის ძეები დასახელებული არიან 1850 წლის იმერეთის თავადური გვარების სიაში, როგორც თავადი ბაგრატიონები.“[11] ეს მონაკვეთიც უცვლელი სახით არის შესული „მემორანდუმში“. ი. ბიჭიკაშვილი კი თავის ზემოხსენებული ნაშრომის 54-ე გვერდზე, სადაც წერს, რომ ივანე ბაგრატიონი სიაში ამ გვარით იყო შეყვანილი, იმავე ივანეს ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით იხსენიებს, ანუ ერთსა და იმავე გვერდზე ორ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდის, რასაც ახსნას ვერ ვუძებნით. ასევე გაუგებარია, თუ მან 2003 წელს, თუნდაც ერთხელ, სწორი ვერსია დააფიქსირა, 2004 წელს, ალმანახ „ბაგრატოვანნში“ გამოქვეყნებულ გენეალოგიურ ტაბულაში ბაგრატიონ-იმერეტინსკები რა დოკუმენტზე დაყრდნობით ჩაანაცვლა იმ პირებით, რომლებიც სინამდვილეში სხვა შტოს წარმომადგენლები იყვნენ და ბაგრატიონის გვარს ატარებდნენ? 1850 წელს იმერეთის თავადური გვარების სიაში ბაგრატიონის გვარით შეყვანილი ივანე და თეიმურაზი როდის გახდნენ ბაგრატიონ-იმერეტინსკები? გადავხედოთ ბაგრატიონთა XIX ს-ში შედგენილ გენეალოგიურ ტაბულებს, რომელთა ასლები მოცემულია ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომში „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“. იმ ტაბულებში ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრები არიან დაფიქსირებული. ჭეშმარიტების დასადგენად, ყურადღება უნდა მივაქციოთ რუსულენოვან წარწერებს, რადგან დასახელებული პირების სტატუსის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით, ი. ბიჭიკაშვილი თარგმნისას დედნისულ წარწერებში მოცემულ ინფორმაციას ამახინჯებს. ასე მაგალითად, მე-3-ე ტაბულაში იმერეთის მეფე ალექსანდრეს შვილად ნაჩვენებია ბაგრატი, ბაგრატის შვილად დავითი, ხოლო ამ უკანასკნელის შვილად „Иван проситель“,[12] რაც ნიშნავს: „ივანე მთხოვნელი“. ვიმოწმებთ ლექსიკონს, რომლის თანახმად „Проситель“ ნიშნავს – „მთხოვნელს“.[13] ი. ბიჭიკაშვილი კი ამ სიტყვას ბატონიშვილად თარგმნის: „ბატონიშვილის ივანე დავითის ძე ბაგრატიონის (1810-1869) მუხლობრივი აღწერა (1869 წ.).“[14] აქვე განვმარტავთ, რომ

თავადი ივანე ბაგრატიონი უგანათლებულესობის ტიტულის მთხოვნელი, ანუ მაძიებელი იყო. მე-4-ე ტაბულაში ივანე მთხოვნელის შვილად დასახელებულია მისი ვაჟი ალექსანდრე сын его Александр – ფანქრით მიწერილი აქვს: прос.,[15] რაც მთხოვნელს, იმავე მაძიებელს ნიშნავს. ი. ბიჭიკაშვილი კვლავ არასწორ თარგმანს იძლევა: „ბატონიშვილის ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონის (1851-1895) მუხლობრივი აღწერა (1869 წ)“.[16] ბოლო, მე-5-ე ტაბულაში ივანეს შვილად ნაჩვენებია ალექსანდრე, ხოლო ამ უკანასკნელის შვილად დავითი – აქვე დაფიქსირებულია მისი სტატუსი: „Давид. Свят. Кн. Малолетний, опекаемый“,[17] რაც ასე ითარგმნება: „დავითი, უგანათლებულესი თავადი, მცირეწლოვანი, სამეურვო“. **ი. ბიჭიკაშვილი უგანათლებულეს თავადსაც ბატონიშვილად თარგმნის**: „ბატონიშვილის დავით ალექსანდრე ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1894-1937) მუხლობრივი აღწერა (1903წ.).“[18] გაუგებარია, ამ დოკუმენტში ი. ბიჭიკაშვილი რომელი რუსული სიტყვის შესატყვისად იყენებს აკვიატებულ ქართულ სიტყვა – „ბატონიშვილს“? ამითაც არ კმაყოფილდება და დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს „ბაგრატიონ-იმერეტინსკის“ გვარით მოიხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ გვარს იმპერატორის ბრძანებით, მხოლოდ მეფე სოლომონ I-ის შთამომავლები ატარებდნენ. დამოწმებულ ტაბულებშიც, როგორც ვნახეთ, ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი არ გვხვდება. ტაბულების წარწერების არასწორი თარგმანიც იმაზე მიგვითითებს, რომ ი. ბიჭიკაშვილი თავის ახალ ნაშრომებშიც განაგრძობს ფაქტების დამახინჯებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ივანე დავითის ძე ბაგრატიონი და მისი ვაჟი, ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი დაკრძალული არიან სოფელ ღვანკითის სამების ეკლესიაში. მათი საფლავის ქვებს „ბაგრატოვანი“ აწერია და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი.

3. „ბაგრატოვანთა სახლის“ ალმანახში ი. ბიჭიკაშვილმა ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამა, უგანათლებულესი თავადი დავით ბაგრატიონი არა მხოლოდ ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მოიხსენია, არამედ ტაბულაში მის სახელს ამგვარი სტატუსი დაურთო: „იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე.“[19] **ეს არის ისტორიის გამიზნული დამახინჯება და წმინდანი მეფის, სოლომონ II-ის ნების**

აბუჩად აგდება! 1804 წელს, ე. წ. „ელაზნაურის ხელშეკრულებაში“, რომლითაც იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა გაფორმდა, მეფე სოლომონ II-მ ტახტის მემკვიდრეობის საკითხზე თავისი ნება გამოხატა: „ელაზნაურის ტრაქტატის“ მე-2 მუხლში მეფე სოლომონ II აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ღმერთი არ მისცემდა „მამობრისა სქესისა“ შთამომავალთ, მაშინ მის შემდგომ „მეფის ძეს კონსტანტინეს დავითის ძეს და მისთა შთამომავლობასა“ უნდა ესარგებლათ იმერეთის მეფობის უპირატესობით.[20] აღნიშნულ ხელშეკრულებას ი. ბიჭიკაშვილი არ ითვალისწინებს და თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს იმერეთის ტახტის მემკვიდრეობის საკითხს. სოლომონ II-ის გადაწყვეტილება არც „მემორანდუმშია“ აღნიშნული. ჩვენ მიერ დამოწმებული მე-2-ე მუხლი იმითაც არის საყურადღებო, რომ ტახტის მემკვიდრეებად მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან მიჩნეული. ტახტის ნამდვილი მემკვიდრის, კონსტანტინე ბატონიშვილის მამრობითი ხაზით, უკანასკნელი შთამომავალი 1978 წელს გარდაიცვალა. საგულისხმო ფაქტია, რომ დავით ბაგრატიონის (ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამის) სიცოცხლეში (1894-1937), იმერეთის ტახტის მემკვიდრე თავადი იმერეტინსკების შტოში, მამრობითი ხაზით შთამომავლები არსებობდნენ. დავითი კი ტახტის მემკვიდრედ არავის უღიარებია. თავის თანადროულ დოკუმენტებში, დავითი – ბაგრატიონის გვარს ატარებს, მაგ., 1912 წლის საბუთში იხსენიება „უგანათლებულესი თავადი დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი“.[21] 1910-ან წლებში, დავითს დაგირავებული ჰქონდა სოფლის მამულიც და ქუთაისში მდებარე ძველი სახლიც. 1918 წლის 9 დეკემბერს ის წერს თხოვნას: „ქუთაისის მიხეილის საადგილმამულო ბანკის გამგეობას. თხოვნა დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონისაგან“.[22] არსებობს ვერსია, თითქოსდა, საბჭოთა პერიოდში მან გვარი შეიცვალა და ჩეკიშვილი გახდა, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ჩვენ არ გვინახავს. ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერს, რომ ღვანკითში ვასო კორტმა ღირსშესანიშნავად მიიჩნია ბაგრატიონის ნაბუდარის ჩვენება და დავითის შესახებ ასეთი ცნობა მიაწოდა: „გვარიც გადიკეთაო. ამბობენ, ჩეკიშვილად დაიწერაო...“[23] (დავით ბაგრატიონის ჩეკაში მუშაობის ფაქტი დასტურებდება ისტორიკოს

ნ. კირთაძის ნაშრომში გამოქვეყნებული მ. კოღუაშვილის 1924 წლის დაკითხვის ოქმიდან.[24] აგრეთე, ქ-ნ ბაბო დადიანის მოგონებებიდან[25] და სხვა). დავით ბაგრატიონი 1937 წელს მაინც დახვრიტეს.

4. მას შემდეგ, რაც „მემორანდუმში“ იმერეთის სამეფო სახლის უფროსობის გადაცემის შესახებ მცდარი ვერსია დაკანონდა, რომლის თანახმად, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამაზე გვარში უფროსობა 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა, ი. ბიჭიკაშვილი, როგორც ჩანს ამ ვერსიის არადამაჯერებლობას მიხვდა. მას არავითარი განცხადება არ გაუკეთებია, „მემორანდუმის“ ხელმომწერნი არ გაუფრთხილებია ისე შეთხზა ახალი ვერსია, რომელიც უკვე არსებულს და დაკანონებულს აბათილებს. თავის ახალ ნაშრომში ი. ბიჭიკაშვილი წერს: „1810 წლის ანექსიისა და 1815 წელს მეფე სოლომონ II-ის უშვილოდ გარდაცვალების (მეფე სოლომონს კონსტანტინე ბატონიშვილი ჰყავდა ნაშვილები. – მ. ხ.) შემდეგ, იმერეთის სამეფო სახლში უფროსობა გაგრძელდა მეფე სოლომონ I-ის შთამომავლებით, კერძოდ, ბატონიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკით (1815-1862) (ელაზნაურის ხელშეკრულების მე-2 პუნქტი გაუქმდა და შეიცვალა? – მ. ხ.). შემდგომ, მის ძმისშვილზე, ალექსანდრე ალექსანდრეს ძეზე (1880-1901) და ამ უკანასკნელის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ 1901 წელს, უფროსობა იმერეთის სამეფო სახლში გადავიდა მეფე სოლომონ I-ის (1752-1784) უმცროსი ძმის – ბაგრატ ბატონიშვილის (1740-1800) შთამომავალზე, ბატონიშვილ დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიზე (1894-1937), რომლის ასული, მისი სამეფო უმაღლესობა ბატონიშვილი ნინო ბაგრატიონი (1915-2009) თბილისში ცხოვრობდა და „ბაგრატოვანთა სახლს“ სათავეში ედგა 1995-2009 წლებში“.[26] **სად დაიკარგა ვარშავის გენერალ-გუბერნატორი? ი. ბიჭიკაშვილის ახალ ვერსიაში მისთვის ადგილი არ დარჩა!** ახლა გამოდის, რომ უგანათლებულეს თავად დავით ბაგრატიონზე, ან როგორც ი. ბიჭიკაშვილი უწოდებს, „ბატონიშვილ დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიზე“ გვარში უფროსობა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის (1837-1900) გარდაცვალების შემდეგ, 1900 წელს კი არ გადასულა, არამედ ალექსანდრე ალექ-

სანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1880-1901) „უშვილოდ გარდაცვალების“ შემდეგ, 1901 წელს. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ „ბაგრატოვანთა სახლის“ 2001 წლის განცხადების თანახმად, ბაგრატიონ-იმერეტინსკების შტო, რომელიც სოლომონ I-ის უკანონოდ შობილი შვილიშვილისგან მომდინარეობდა, ტახტის მემკვიდრე არ ყოფილა.[27] ახლა კი ი. ბიჭიკაშვილი ამტკიცებს, რომ მეფე სოლომონ II-ის შემდეგ, იმერეთის სამეფო სახლში უფროსობა მეფე სოლომონ I-ის შთამომავლებით გაგრძელდა. ამ განცხადების დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. ი. ბიჭიკაშვილი ასევე ამტკიცებს, რომ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერტინსკი 1901 წელს გარდაიცვალა, თუმცა აშკარაა, რომ მისი გარდაცვალების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია. ეს ნათლად ჩანს მის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულიდან და კომენტარებიდან, სადაც მან 1879 წელს დაბადებული ალექსანდრე ალექსანდრეს ძის გარდაცვალების წელი, როგორც ზემოთ ვთქვით, კითხვის ნიშნით აღნიშნა: „59/49. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (აგვისტო 1879-?)“.[28] **აკი, ამტკიცებდა, რომ ხსენებული პირი 1901 წელს გარდაიცვალა და თანაც უშვილოდ!** 1901 წელს ი. ბიჭიკაშვილი გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან დასახელებულ წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა წერილი „იმერეთის უკანასკნელ მეფეთა შთამომავალნი“, სადაც ალექსანდრე ალექსანდრეს ძე იხსენიება: „...თავადი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამჟამად ორენბურგის იუნკერთა სასწავლებელში სწავლობს, ხოლო ოლგა ალექსანდრეს ასული დედასთან ცხოვრობს“.[29] 1901 წელს, 21 წლის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ცოცხალი იყო. მისი შემდგომი ბედი ცნობილი არ არის. ი. ბიჭიკაშვილმა უნდა განმარტოს, სად ნახა მისი გარდაცვალების ცნობა და თუ ნახა, ტაბულაში კითხვის ნიშნის ნაცვლად გარდაცვალების წელი რატომ არ ჩაწერა? **ვფიქრობთ, ნათელია, რომ ი. ბიჭიკაშვილი ახდენს სხვადასხვა ფაქტებით, გვარებით, თარიღებით მანიპულაციას**. თავისი ახალი ვერსიით მან „მემორანდუმის“ ვერსია გააბათილა, თუმცა ხსენებული „მემორანდუმი“ არსებითად განხილვის გარეშეც უნდა გამოცხადდეს ბათილად, ვინაიდან მასში დაფიქსირებულია ხელმონერა ბაგრატიონ-იმერეტინსკების გვარით, რომელთა ბოლო წარმომადგენელის, ალექსანდრე ალექსანდრეს ძის კვალი 1901 წელს იკარგება და მას თავისი გვარი არავისთვის გადაუცია.

ი. ბიჭიკაშვილი თავის 2016 წელს გამოცემულ ნაშრომში ასახელებს საარქივო დოკუმენტს: „ფონდი 2, დამატებითი აღწერილობა, საქმე 109. ფ 1-10 (1832 წ.) О князе Теймуразе Давидовиче Багратион-Имеретинском.“[30] მოგვყავს თარგმანი: „თავად თეიმურაზ დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის შესახებ.“ 1830-იან წლებში თეიმურაზ დავითის ძეს ჯერ კიდევ ჩამორთმეული ჰქონდა ბაგრატიონის გვარიც და წოდებაც, ხოლო ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი ამ შტოს არასოდეს ჰქონია. სინამდვილეში, საარქივო დოკუმენტში წერია: „...Теймураза Давидовича (или багратиона)“,[31] როგორც ეს საქართველოს ეროვნული არქივის მიერ 2018 წლის 28 მარტს გაცემული ცნობითაც დასტურდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ეროვნული არქივი

KA011952031003518

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილება საქართველო, თბილისი, 0160, ვაჟა-ფშაველას გამ.№1. ტელ. ტელ: 2376526, 2373913.ელ-ფოსტა: info@archives.gov.ge

№ 02-3/47721 28 / მარტი / 2018 წ.

მანანა ხომერიკს

თბილისი, დიმიტრი ყიფიანის ქუჩა №9

ქალბატონო მანანა,

თქვენი 14 მარტის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ამიერკავკასიის მთავარმმართველის კანცელარიის ფონდი - N2. ფონდში არიცხება ორი ანაწერი: ანაწერი N 1 - ქრონოლოგიური ჩარჩოებით 1802 – 1840 წლები და ანაწერი N 2 (რომელიც წარმოადგენს დამატებით აღწერილობას) - ქრონოლოგიური ჩარჩოებით 1802 – 1845 წლები.

აღნიშნულ დამატებით აღწერილობაში (ანაწერი N 2) ირიცხება საქმე N 109 – „Переписка с управляющим Имертией, дежурным генералом Главного штаба „с.и.в.“ о высылке сведений о происхождении сына имеретинского царевича убитого в восстании в Имеретии в 1820 г. Теймураза Давидовича (или Багратиона)“.

საქმის კიდური თარიღია 25.02 – 26.08.1832 წელი. საქმე შედგება 10 ფურცლისაგან.

პატივისცემით,

განყოფილების უფროსი გიორგი სოფრომაძე

ტექსტში თეიმურაზის შესახებ ნათქვამია, რომ მას არასწორად ეწოდა თეიმურაზ დავიდოვი „неправильно назван Теймуразом Давидовым," და რომ ის უნდა იწოდებოდეს არა დავიდოვად, არამედ თავად ბაგრატიონად: „должен именоваться не Давидовым, а князем Багратионовым". არც სათაურში და არც დოკუმენტის ტექსტში ბაგრატიონ-იმერეტინსკი ნახსენები არ არის.

უსამართლობის გვირგვინს კი „საქართველოს სამეფო სახლის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული **„სოფელ ღვანკითში მცხოვრებ ბაგრატიონთა ოჯახის გენეალოგიური ტაბულა"** წარმოადგენს. საგანგებოდ არის ნაჩვენები უკანონო შვილის შტოს აღმნიშვნელი წყვეტილი ხაზი, რომელიც მხოლოდ ირაკლი ბაგრატიონის ოჯახის დასამცირებლად არის გამოყენებული. დიახ, მას ჰყავდა უკანონოდ შობილი წინაპარი – სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონი, მაგრამ სხვა აქ დასახელებულ პირებს არ ჰყოლიათ? **თვით მეფე ალექსანდრე V-ის მამა, მეფე გიორგი VI უკანონოდ შობილი და ამ ტაბულაში დასახელებული ყველა ბაგრატიონის წინაპარი არ ყოფილა?** „ბატონიშვილები და უგანათლებულესი თავადები ბაგრატიონ-იმერეტინსკები" მეფე სოლომონ I-ის უკნონოდ შობილი შვილიშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის ძის – „გიორგი ბუშის" შთამომავლები არ არიან? **რატომ ვერ ვხედავთ აქ წყვეტილ ხაზს?** ახლა, რაც შეეხება ირაკლი ბაგრატიონის შტოს: **რატომ არის როსტომთან წყვეტილი ხაზი?** თუ რუსი მოხელეებისათვის საკმარისი აღმოჩნდა მარიამ დედოფლის მოწმობა, რომლითაც მან როსტომის მიმართ ამგვარი ცილისწამება გააბათილა, რის შემდეგ მათ მსგავსი სისულელე აღარ გაუმეორებით, ნუთუ ამ ტაბულის შემდგენლისათვის დედოფლის სიტყვა არაფერს ნიშნავს? არც იმ ფაქტისთვის მიუქცევია ყურადღება, რომ ამ ოჯახის ყველაზე დიდი მტერი, თავადი ივანე ბაგრატიონიც კი უკანონოდ შობილად მხოლოდ სვიმონს ასახელებს და არა როსტომს!

„საქართველოს სამეფო სახლის“ ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული, არაობიექტურად შედგენილი, გენეალოგიური ტაბულა:



ამ ტაბულის შემდგენლისთვის არაფერს ნიშნავს როსტომის დასაცავად 1853 წლის 31 იანვარს დაწერილი მოწმობა, რომელსაც თავადაზნაურობის 23 წარმომადგენელმა მოაწერა ხელი, ხოლო მათი ხელმოწერები შორაპნის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა, თავადმა წერეთელმა დაამოწმა. ეს არც ორმოცდაათი თავადის და აზნაურის ჩვენებებს უწევს ანგარიშს, არც თავადაზნაურთა 12 წარმომადგენლის მიერ 1880-იან წლებში დაწერილ „ფიცითი აღთქმებს.“ ელემენტარულმა სიძულვილმა ყოველგვარი საარქივო მასალა გადაწონა. აქ უკვე ნებისმიერი მტკიცებულება უძლურია!

ახლა განვიხილოთ მესამე სვეტში დავით ბატონიშვილის შემდეგ დაფიქსირებული „ბატონიშვილები და უგანათლებულესი თავადები ბაგრატიონ-იმერეტინსკების“ ვინაობა. დავით ბატონიშვილის შთამომავლები თავადები იყვნენ და არა ბატონიშვილები, ხოლო 1881 წელს მათ უგანათლებულესი თავადი ბაგრატიონების ტიტული ებოძათ. **ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი მათ არასოდეს ჰქონიათ, რაც ნათლად დავასაბუთეთ**. ტაბულის შემდგენელს ისინი სოლომონ I-ის შთამომავლებში „ერევა“. საკითხავია, თუ რომელ ყალბ ვერსიას ეყრდნობა პატივცემული შემდგენელი, როდესაც მათ ბაგრატიონ-იმერეტინსკებად მოიხსენიებს: **ა)** „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმში დაფიქსირებულ ყალბ ვერსიას, რომლის თანახმად, დავით ბაგრატიონს გვარში პირველობა და ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი 1900 წელს ვარშავის გენარალ-გუბერნატორის, ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა (რაც სინამდვილეში არ მომხდარა). **ბ)** ი. ბიჭიკაშვილის მიერ 2016 წელს თავის ნაშრომში დაფიქსირებულ ყალბ ვერსიას, რომლის თანახმად, დავით ბაგრატიონს გვარში პირველობა და ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი 1901 წელს, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ გადაეცა (სინამდვილეში, ალექსანდრე 1901 წელს 21 წლის იყო და მისი გარდაცალების წელი ცნობილი არ არის). **გ)** ორივე ყალბი ვერსიის სინთეზს, თუკი ასეთი რამ შესაძლებელია. **დ)** ყოველგვარი ვერსიის გარეშე, შემდგენელი მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილს ეყრდნობა.

იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ნაწილია. ვფიქრობთ, აჯანყების მონაწილე, ნატანჯი ოჯახის წევრების დაუნდობლად დამცირება არა მხოლოდ მათი ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა, არამედ გარკვეულ წილად, ჩვენი ისტორიისადმი უპატივცემულობის გამოვლენაა.

P. S. იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებით დაშვებული უზუსტობები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეში“[32] გამოქვეყნებულ სამეცნოერო წერილში განვიხილე. პასუხად, სოციალურ ქსელში, ჩემს ფბ-ის გვერდზე „ბაგრატოვანთა სახლის“ სახე, ვინმე მამუკა ბაგრატიონი მწერს:

„მამუკა ბაგრატიონი: თქვენ თავხედობას მართლა ზღვარი არა აქვს და არ შეგჩებათ არც ერთი ყალბი სვლა!!!!! ბოდიშს მომიხდით რაც გამიბედეთ!!! „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსზე კი ბოდიშის მოხდა აუცილებლად მოგიწევთ!!!!!!!!!!!!!“

თან მეტი დამაჯერებლობისთვის ცამეტ ძახილის ნიშანს სვამს. მისი ასეთი გაღიზიანება იმითაც იყო განპირობებული, რაც, არც მას და არც ი. ბიჭიკაშვილს საერთოდ არ ეხება; სახელდობ, მე შემდეგი ფაქტი გავასაჯაროვე: 2015 წელს, ინგლისში, ბონჰემის აუქციონზე 3 700 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა ფრანგი მხატვრის, ჯორჯ ანტუან კემანის მიერ 1806 წლის 30 ივლისს, ლონდონში შერულებული მედალიონი პეტრე ბაგრატიონის გამოსახულებით, რომელიც შეცდომით სვიმონის პორტრეტად დასახელდა. ჩარჩოს უკანა მხარეზე დატანილი XIX ს-ის წარერა გვამცნობს: Prince Simon Bagratis Dze Bagration-Imeretinsky (b.1771).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

წინათქმა

1. იმერეთის ისტორია აღწერილი ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, თბ., 1902, გვ. 27.
2. იქვე, გვ. 42.
3. იქვე, გვ. 54.
4. მ. ხომერიკი, იმერეთის დე იურე მეფე ვახტანგ ბაგრატიონი, თბ., 2012.
5. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ტფ., 1927, გვ. 20.
6. „ბაგრატოვანთა სახლის“ ალმანახი „ბაგრატოვანნი“, თბ., 2001, გვ. 24.

I. ირაკლი ბაგარატიონის (იმერელის) ოჯახის ისტორია

1. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. ფ. 8, 8ა.
2. იქვე, ფ. ფ. 71, 72ა.
3. ქუთაისის არქივი, ფონდი 1, საქმე 237, ფ.ფ.16, 17.
4. იქვე, ფ. 55.
5. სეა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №103.
6. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, თბ., 1955, გვ. 80.
7. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237 ფ. ფ. 57, 58.
8. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. ფ. 58, 71ა-72.
9. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 539.
10. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-5454.
11. ი. გავაშელაშვილი, ერთი სოფლის ისტორია, თბ., 1992, გვ. 4-8.
12. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 539.
13. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6414, ფ. 2.
14. სეა, ფონდი 2, აღწერა 2, საქმე109, ფ. 9.
15. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6858, ფ. 5.

16. სეა, ფონდი 2, აღწერა, 1, საქმე 6414, ფ. 2.
17. სეა, ფონდი 2, აღწერა 2, საქმე 109, გვ. 9.
18. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6858, ფ. 4.
19. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6858, ფურც. 5.
20. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 70.
21. იქვე, ფ. 72 ა.
22. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 71ა.
23. იქვე.
24. იქვე, ფ. 73.
25. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 78.
26. იქვე, ფ. ფ. 43, 45.
27. Список Княжеским и Дворянским родам Имеретии, С.-Петербург, 1851, с. 95.
28. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 7.
29. იქვე, ფ. 22.
30. იქვე, ფ.22.
31. იქვე, ფ. 23.
32. იქვე, ფ. 23.
33. იქვე, ფ.27.
34. იქვე, ფ. 87.
35. ი. გავაშელიშვილი, ერთი სოფლის ისტორია, თბ., 1992, გვ. 33.
36. იქვე, გვ. 32.
37. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 58.
38. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა1, საქმე 237, ფ. 44.
39. მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012, გვ. 363.
40. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 561.

II. „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის მიერ ფაქტების დამახინჯების შესახებ

1. „ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები, თბილისი, 2016, გვ. 50.
2. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, საქმე 237, ფ. ფ.16, 17.
3. იქვე, ფ. 55.
4. იქვე ფ. ფ. 8, 8ა.
5. იქვე, ფ. ფ. 71, 72ა.
6. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-5454.
7. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 539.
8. სეა, ფონდი 2, აღწერა 1 საქმე 6858, ფ. 5; ი. ბიჭიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.
9. ი. ბიჭიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.
10. სეა, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 2832, ფ. 6ა.
11. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 78.
12. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1119, ფ. ფ. 22, 23.
13. Акты, ტ. VI, ნაწ. II, გვ. 232. N427.
14. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 71.
15. იქვე, ფ. 79 .
16. იქვე, ფ. ფ. 43, 45.
17. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 7.
18. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 40.
19. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. ფ. 22, 27.
20. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ააღწერა 1, საქმე 237, ფ. 44.
21. „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, თბ., 2012, გვ. 363.

22. ი. ბიჭიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; სეა, ფონდი 2, ან. 1, საქმე 6858, ფ. 5.
23. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6858, ფ. 5.
24. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 2832, ფ. 7.
25. მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში, პუშკინის სახ. ინსტიტუტის შრომები, 1948, გვ. 105.
26. მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012, გვ. 326.
27. ი. ბიჭიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.
28. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6858, ფ. 76.
29. სეა, ფონდი2 აღწერა 2, საქმე 6414, ფ. 2.
30. იქვე, ფ. 5.
31. ი. ბიჭიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.
32. სეა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 5, ფ. ფ. 24, 25.
33. ი. ბიჭიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.
34. ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები, გვ. 51.
35. ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებების გენეალოგია, გვ. 335-336.
36. მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, გვ. 364.
37. სეა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 103, ფ. 492.
38. სეა, ფონდი 489, აღწერა 22, საქმე 565, ფ. 19.
39. მ. ხომერიკი, წერილები, თბ., 2006, გვ. 298.
40. ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებების გენეალოგია, გვ. 338.
41. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 379.
42. სეა, ფონდი 1449, აღწერა 1, საქმე №397.
43. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, BOF. C. HR. 175/8737.
44. ი. ბიჭიკაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 49.
45. მ. ხომერიკი, იმერეთის დე იურე მეფე – ვახტანგ ბაგრატიონი. კრებულში: საქართველოს თავადაზნაურობა, ტ. III, თბ., 2017, გვ. 120.

III. ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მანიპულაციის შესახებ

1. „ბაგრატოვანთა სახლის“ ალმანახი „ბაგრატოვანნი“, №1, 2001, გვ. 12.
2. „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი“, წიგნში: კ. ქორიძე, ი. ბიჭიკაშვილი, საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე, თბ., 2016, გვ. 233-234.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქივის უფროსის ცნობა 42.19. 26/42-17. 24. 02. 2017, გვ. 1.
4. ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, ტ. IV, თბ., 2004, გვ.155.
5. Н. К. Имеретинский, Багратиды в России, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი ROS 637.
6. კ. ქორიძე, ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე, თბ., 2016, დოკუმენტი №4, გვ. 231.
7. ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2003, გვ. 546.
8. ი. ბიჭიკაშვილი, „უგანათლებულესი თავადების გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარების წარმოშობისათვის“ კრებულში „ბაგრატიონები“, გვ. 54.
9. Списки титулованным родам и лицам Российской Империи. Издание Департамента Герольдии Правительствующего Сената. Спб. 1892, с. 11.
10. „ბაგრატოვანნი“, №2, თბ., 2004, გვ. 10.
11. „ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“, თბ., 2003, გვ. 54.
12. ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები, გვ. 258.
13. რუსულ-ქართული ლექიკონი, ტომი II, თბ., 1958, გვ. 786.
14. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, გვ. 258.
15. ი. ბიჭიკაშვილის დასახ. ნაშრომი, 259.
16. იქვე.
17. ი. ბიჭიკაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 260.
18. იქვე.
19. „ბაგრატოვანნი“, №2, თბ., 2004, გვ. 10.

20. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 561.
21. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 22, საქმე 7188, ფ. 26.
22. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 22, საქმე 7188, ფ. 28.
23. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II თბ., 1964, გვ. 5.
24. ნ. (ელისაბედ) კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 315.
25. ბ. დადიანი, მოგონებათა დღიურები, თბ., 2008, გვ. 47.
26. ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები, თბ., 2016, გვ. 34.
27. „ბაგრატოვანთა სახლის“ შენიშვნები სტატიაზე „სრულიად საქართველოს“ გამო“. ალმანახში „ბაგრატოვანნი“, თბ., 2001, გვ. 24.
28. ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებების გენეალოგია, თბილისი, 2016, ტაბულა №19, გვ. 330.
29. „იმერეთის უკანასკნელ მეფეთა შთამომავალნი“, გაზ. „ივერია“, 1901, №21.
30. „ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებების გენეალოგია, თბ., 2016, გვ. 322.
31. სეა, ფონდი 2, აღწერა 2, საქმე 109.
32. მ. ხომერიკი, იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერია №2, 2017, გვ. 191-204.

დანართი

სოლიდურ სამეცნიერო ჟურნალში, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეში“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერია №2, 2017) გამოვაქვეყნე სამეცნიერო წერილი, რომელიც „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის, ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის მიერ იმერეთის ისტორიასთან დაკავშირებით დაშვებულ უზუსტობების ნაწილს შეეხება. „საქართველოს სამეფო სახლმა“ ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესებულიყო და კომპეტენტური ისტორიკოსებისთვის ეკითხა აზრი „აკადემიკოს“ ბიჭიკაშვილის ნაშრომზე (რომელსაც სამეცნიერო ხარისხიც კი არ გააჩნია), თავის ვებ-გვერდზე უკრიტიკოდ გამოდო მისი ნააზრევი. იძულებული გავხდი ა. წ. 20 თებერვალს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ღია წერილი გამომექვეყნებინა. როგორც მოსალოდნელი იყო, წერილს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ საზოგადოებამ ნათლად დაინახა, თუ რა უსუსურ ბრალდებას მიყენებენ. გთავაზობთ დასახელებულ პუბლიკაციას:

ღია წერილი ბატონ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენი ოჯახის ოფიციალურ ვებგვერდზე „საქართველოს სამეფო სახლი“ (http://www.royal-house.org.ge/danarTi-№7) განთავსებულ საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის 2010 წლის განცხადების დანართში №7, გაუგებარი გზით აღმოჩნდა ციტატა ჩემი მონოგრაფიიდან „იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, რომელიც 2012 წელს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოვეცი. გარდა წლებთან დაკავშირებული კურიოზისა, წაყენებული მაქვს აბსურდული ბრალდება: თითქოსდა, დავამახინჯე დოკუმენტი, რომელიც როსტომ ბაგრატიონს შეეხება: „თუ შევადარებთ რუსულ ორიგინალ ტექსტს, მის ქართულ თარგმანთან, რომე-

ლიც ქ-ნ მ. ხომერიკს ეკუთვნის, ნათლად ვლინდება „მთარგმნელის“ მიერ ორიგინალი ტექსტის დამახინჯება, რადგან уроженец Имеретинского Княжества ითარგმნება შემდეგნაირად – იმერეთის სამთავროს მცხოვრები და არა „იმერეთის სამთავროდან“, თან, რატომღაც ბრჭყალებში?!“ ვფიქრობ, ძნელი არ არის (თუნდაც რუსულ-ქართული ლექსიკონის მეშვეობით) დარწმუნდეთ, რომ სიტყვა УРОЖЕНЕЦ – „მცხოვრებს“ არ ნიშნავს. გარდა ამისა, პიროვნება, რომელიც დოკუმენტშია დასახელებული, წარმოშობით იმერეთიდან იყო, მაგრამ წლების მანძილზე და ამ მოცემული დოკუმენტის შედგენის დროისათვის პეტერბურგში ცხოვრობდა, რადგან იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებაში მონაწილეობის გამო, სამშობლოში დაბრუნება აკრძალული ჰქონდა. რუსი ჩინოვნიკების მიერ შეთითხნილ დოკუმენტში იმერეთის სამეფო „იმერეთის სამთავროდ“ იწოდება. მე ჩემი პროტესტი ბრჭყალებში ჩასმით გამოვხატე, რამაც თქვენი აღშფოთება გამოიწვია. საინტერესოა, თქვენ როგორი რეაგირება მოახდინეთ იმერეთის ისტორიის ასეთ უხეშ დამახინჯებაზე? ალბათ, ჩემი შეხსენება არ უნდა იყოს საჭირო, რომ იმერეთის ისტორია სრულიად საქართველოს ისტორიის ნაწილია. იმერეთის სამეფოს სამთავროდ გამოცხადება და დაკნინება ზოგიერთი ვაი-მკვლევარის ინტერესებშია. ამჯერად არ შევეხები იმერეთის სამეფოს და იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებულ სხვა უზუსტობებს, რომელთა ერთი ნაწილი განხილული მაქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეში (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია: №2. 2017).

დაბეჯითებით გთხოვთ, დაავალოთ თქვენს გვერდზე ამ ტექსტის განმთავსებელს, რომ განცხადებიდან ამოიღოს ჩემი სახელი.

მანანა ხომერიკი, ისტ. მეცნ. დოქტორი,
„იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“
აღმასრულებელი მდივანი.

სარჩევი

წინათქმა 3

I. ირაკლი ბაგარატიონის (იმერელის) ოჯახის ისტორია 6

II. „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის მიერ ფაქტების
დამახინჯების შესახებ 20

III. ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მანიპულაციის შესახებ 34

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 48

დანართი. ღია წერილი ბატონ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის 54

9 789941 25445 1